MES 0 24 0000021565

12/01/2024

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 22. 12. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:58 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის მდივანი: გურანდა ჭელიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საშემსრულებლო ფაკულტეტის კამერული ანსამბლისა და კვარტეტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
4. ქეთევან ზურაშვილი - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
5. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
6. მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
7. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
8. ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
9. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;

10. მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
11. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. ნინო ღაღანიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
15. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
16. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
17. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	**სტატუსი**
თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	გიორგი მათიაშვილი		რექტორი	
2	ლალი ჩაგელიშვილი	**შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**I**
3	გიორგი გერგაული		პროგრამის ხელმძღვანელი	**I**
4	დავით მახვილაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**II, III**
5	ხათუნა მხეიძე			II, III

		სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	
6	ნიკოლოზ შავიშვილი		დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანი, „დიზაინის“ ინგლისურენოვანი ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	II, III
7	გოჩა მიქიაშვილი		დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანის მოადგილე	II, III
8	ეკატერინე შაკიაშვილი		საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	II, III
9	მალხაზ რაზმაძე		დიზაინის საერთაშორისო სკოლის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	II, III
10	თამარ მაღალურაძე		„ჟურნალისტიკის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II, III
11	ყარამან ქუთათელაძე		რექტორი	II, III
12	ნანა იაშვილი		დეკანი, პროგრამების ხელმძღვანელი	II, III
13	მარიამ ჭიჭინაძე	სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	გრაფიკული დიზაინის პროგრამის ხელმძღვანელი	IV
14	ანა წერეთელი		გრაფიკული დიზაინის პროგრამის ხელმძღვანელი	IV
15	ნათელა გრიგალაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	IV

16	ნინო ღაღანიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	მედეა დესპოტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მარრიამ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	რიჩარდ ჰეინსი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	მაგდა მემანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ნატალია თვალჭრელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ია ბუცხრიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ბერნჰარდ კერნეგერი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	მაია გრძელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ლუკა ბერაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	გიორგი ნიკურაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	მაია ლევანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	თინათინ გაბრიჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის - ჯიუს **„სოციალური ფსიქოლოგიის“** სამ აგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „დიზაინის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო და „დიზაინის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფოტოხელოვნების“ საბაკალავრო, „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო,

„მედიახლეოვნების/ციფრული მედიის“ საბაკალავრო, „მედიახელოვნების/ციფრული მედიის“ სამაგისტრო, „მედიახელოვნების/ციფრული მედიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო, „მედიახელოვნების/ციფრული მედიის“ სადოქტორო, „მედიახელოვნების/ციფრული მედიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის - ჯიუს „სოციალური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „დიზაინის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო და „დიზაინის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფოტოხელოვნების“ საბაკალავრო, „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო, „მედიახლეოვნების/ციფრული მედიის“ საბაკალავრო, „მედიახელოვნების/ციფრული მედიის“ სამაგისტრო, „მედიახელოვნების/ციფრული მედიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო, „მედიახელოვნების/ციფრული მედიის“ სადოქტორო, „მედიახელოვნების/ციფრული მედიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის - ჯიუს **„სოციალური ფსიქოლოგიის“** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური ფსიქოლოგია Social Psychology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი Master of Social Psychology

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი 0101, სამღერეთის ქ. 5
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების რექტორი, გია მათიაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი გერგაულმა განაცხადა, რომ შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის - ჯიუს „სოციალური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ისე კვლევით კომპონენტზე. პროგრამის შემუშავებისას ჩართული იყვნენ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, „კრიზისის მენეჯმენტის“ სასწავლო კურსში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა ინგლისურენოვანია. მას აინტერესებდა, შეეძლო თუ არა საგნის პედაგოგს გაეთვალისწინებინა დამატებითი ლიტერატურის ნაწილში ქართულენოვანი ლიტერატურა. მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ ქართულ ენაზე ხდება რიდერების მომზადება, რომლებიც პროგრამის

ამიშავებისთანავე გათვალისწინებული იქნება როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ლიტერატურის ნაწილში. ერმილე მესხიამ ასევე განაცხადა, რომ დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტებად შერჩეული აქვს კერძო დაწესებულებები და დაინტერესდა, რატომ არ ჰქონდა უნივერსიტეტს პრაქტიკის ობიექტებად შერჩეული საჯარო დაწესებულებები? მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა იყო ახალი და კვლევაზეა ორიენტირებული. დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტად შერჩეული ჰქონდა საჯარო დაწესებულება თავდაცვის სამინისტროს სახით, სადაც ხდებოდა ფსიქოლოგიური კვლევები, ამავდროულად იგეგმება ახლო მომავალში პარტნიორი საჯარაო დაწესებულებების რაოდენობის გაზრდა. ერმილე მესხიამ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რომელი ორგანიზაციები იღებდნენ მონაწილეობას აღნიშნულ კვლევაში? ლალი ჩაგელიშვილმა აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევაში ჩართული იყვნენ ფსიქოლოგიის არა კლინიკური, არამედ კვლევითი ცენტრები. ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა მრავალფეროვანი იყო, რაც მოიცავს ეკონომიკას, ბიზნესისა და მედიის სფეროს. მას აინტერესებდა, მოიაზრებდა თუ არა დაწესებულება მომავალში გარდა აღნიშნული სფეროებისა, სხვა სფეროებიც მოცვას? მარიამ დარბაიძემ განაცხადა, რომ ეს ეხებოდა ამოქმედებული პროგრამების ნაშრომებს და არა „სოციალური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, იმიტომ, რომ ამ უკანასკნელის სამაგისტრო ნაშრომი ჯერ არ არსებობდა. სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომის თემას არჩევდა ხელმძღვანელთან ერთად მიმართულების მიხედვით. საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამის მიმართ გაიცა შემდეგი რჩევა: „მიეცით სტუდენტებს სტუდენტურ პორტალზე დისტანციურად წვდომის შესაძლებლობა.“ მას აინტერესებდა, რა გახდა აღნიშნული რჩევის გაცემის საფუძველი? ლალი ჩაგელიშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტურ პორტალზე წვდომა ჰქონდა ყველა სტუდენტს როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე მის გარეთ. აღნიშნული რჩევის გაცემის საფუძველი გახდა კომუნიკაციის პრობლემა ან ინტერვიუების დროს არაზუსტი ინფორმაციის მიწოდება ექსპერტებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი, მარიამ ალექსიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სტუდენტებმა ინტერვიუს პროცესში ახსენეს, რომ საგნების არჩევასთან დაკავშირებით კონსულტაციას გადიოდნენ უნივერსიტეტში და პროგრამის ხელმძღვანელთან. გარდა ამისა, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მეილის საშუალებით ეგზავნებოდათ ლიტერატურა. შესაბამისად, აღნიშნული რჩევის საფუძველი გახდა ეს გარემოება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:45
დასრულების დრო: 14:58

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის - ჯიუს „სოციალური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი:

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის - ჯიუს „სოციალური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბრამდე.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რჩევები:

- სასურველია თანმიმდევრულად იქნას გამოყენებული ტერმინი (მოსალოდნელი) სწავლის შედეგი. სწავლის შედეგი ჩვეულებრივ გულისხმობს იმას, რაც სტუდენტებმა წარმოადგინეს, მაგალითად, საგამოცდო ნაშრომში (სწავლის მიღწეული შედეგები).
- სასურველია სტუდენტებს მიეცეს სტუდენტურ პორტალზე დისტანციურად წვდომის შესაძლებლობა.
- სასურველია სტუდენტებს მიეცეს პირდაპირი წვდომა პროგრამაზე (Turnitin) თვითშემოწმებისთვის.
- ბიბლიოთეკას დაემატოს სახელმძღვანელოები.
- სასურველია აუდიტორიები აღიჭურვოს მეტი კომპიუტერული ტექნიკით
- სასურველია ბიუჯეტს მიეთითოს დამტკიცების თარიღი.
- სასურველია მოძიებულ იქნას პროგრამის საერთაშორისო შემფასებლები და განავითარდეს იგი საერთაშორისო ტენდენციების მიხედვით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა Journalism
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	MES 38067 18.01.2022
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჟურნალისტიკის ბაკალავრი Bachelor of Journalism

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა 0321
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. 77, თბილისი, მე-6 კორპუსი, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა მარინა მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, რიჩარდ ჰეინსი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ პროგრამის მიმართ ძირითადი შთაბეჭდილება იყო პოზიტიური. მისი თქმით, პროგრამა სტუდენტს აძლევდა პრაქტიკაზე დაფუძნებულ კარგ განათლებას, რომელიც გამოუმუშავებდა პროფესიულ უნარებს. ექსპერტებმა მოისმინეს სტუდენტებისგან და კურსდამთავრებულებისგან პოზიტიური უკუკავშირი პროგრამასთან დაკავშირებით. რიჩარდ ჰეინსმა განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალური რესურსები, რომელიც იყო დამაკმაყოფილებელი. ამ მიმართულებით გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა მიმდინარე შეფასების მეთოდოლოგიას. მისი თქმით, შეფასების მეთოდოლოგია არ უნდა იყოს ფორმალური და უნდა მოიცავდეს სიღრმისეულ ხარისხობრივ კვლევას დაინტერესებული მხარეების და დამსაქმებლების ჩართულობით, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, კერძოდ,

გაცვლით პროგრამებში აკადემიური პერსონალის და სტუდენტების წახალისების მიზნით. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ხორციელდებოდა დაწესებულებაში, თუმცა სასურველია მეტი ყურადღება დაუთმოს ყოველივე ამას და უნივერსიტეტმა გამოიყენოს ისეთი საშუალება როგორიცაა „Erasmus +“. გარდა ამისა, სასურველია ფაკულტეტის წევრები ჩართულები იყვნენ საერთაშორისო ჟურნალებში დარგის მიმართულებით. სტუდენტებს მედია საშუალებები უნდა მიეწოდოთ უფრო ადრეულ ეტაპზე ტელევიზიის, ონლაინ გაზეთების და სხვ. სახით, რომლებიც მათ განუვითარებს პრაქტიკულ უნარებს. ასევე, კარგი იქნება თუ სტუდენტების მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში იქნება უფრო აქტიური და ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით მეტი წახალისების მექანიზმები ექნება დაწესებულებას. ამრიგად, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა არის პოზიტიური. პროგრამა შეესაბამება დაწესებულების მიზნებსა და მისიას. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს აძლევს იმის საშუალებას, რომ განივითაროს ისეთი უნარები, რომლებიც მას გამოადგება როგორც საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის, ისე დარგში მოღვაწეობისათვის. სტუდენტებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ კმაყოფილები არიან იმ სწავლის მეთოდებით, რომლებსაც პროგრამა სთავაზობს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფის დადებითი დასკვნისა, მათთან კომუნიკაცია არ იყო ადვილი იმიტომ, რომ ექსპერტების მიერ დასმულ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით თითოეულს შეკითხვას სჭირდებოდა სიღრმისეული პასუხი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული საკითხი იყო რჩევა და არა რეკომენდაცია. უნივერსიტეტის ვებგვერდზე ყველას აქვს შესაძლებლობა ნახოს გაცვლითი პროგრამების ჩამონათვალი. რა თქმა უნდა, როგორც ამ რჩევას, ისე გაცემულ რეკომენდაციებს პროგრამის მიმართ დაწესებულება სრულად იზიარებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დაწესებულებას მიმართა, რომ მეხუთე რჩევასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა აკრედიტაციის საბჭოს წევრებისათვის. დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი თვეში ერთხელ მასპინძლობს დასავლეთ ევროპის და ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტების პროფესორებს კერძოდ, ორდინარიუსებს და მოქმედ ემერიტუსებს. შესაბამისად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ტარდება მოკლევადიანი კონფერენციები კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით და ქართველ პროფესორებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ აღნიშნულ კონფერენციებში მონაწილეობა. ამ მხრივ უნივერსიტეტს გათვალისწინებული აქვს ბიუჯეტი და სასწავლო სამეცნიერო კლასტერი დაფინანსებულია 400, 000 ლარის ფარგლებში. საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, პროგრამის მიმართ გაიცა შემდეგი რჩევა: „სასურველია სტუდენტური მედიასაშუალებების გახსნა, რაც შეიძლება მალე. ონლაინ ტელევიზია და ონლაინგაზეთი და/ან ჟურნალი მნიშვნელოვანი კონტექსტია სტუდენტებისთვის, რათა განავითარონ თავიანთი ჟურნალისტური პრაქტიკა.“ მან აღნიშნა, რომ პროგრამაში რამდენიმე საგანი პრაქტიკულია, რომელიც გულისხმობს პრაქტიკული პროდუქტის შექმნას. მას აინტერესებდა, შეამოწმეს თუ არა ექსპერტებმა ამ პროდუქტის არსებობა და არის თუ არა ის ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, რამდენი სტუდენტი სწავლობს ამჟამად პროგრამაზე და არის თუ არა უნივერსიტეტში არსებული მატერიალური ბაზა საკმარისი პროგრამის განსახორციელებლად;. ასევე, ჰყავს თუ არა დაწესებულებას ტექნიკური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს ამ მატერიალური ტექნიკური ბაზის მუშაობას. გარდა ამისა, სასწავლო კურსები „საწარმოო პრაქტიკა (რადიო)“ და „საწარმოო პრაქტიკა (ტელევიზია)“

რატომ არ არის ორიენტირებული პრაქტიკაზე. მისი თქმით, „საწარმოო პრაქტიკა (რადიო)“ სასწავლო კურსის სილაბუსში ძველი ლიტერატურა არის მითითებული, ხოლო „საწარმოო პრაქტიკაში (ტელევიზია)“ საერთოდ არ არის მითითებული ლიტერატურა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ორივე კურსი თეორიული ხასიათისაა და არ არის ორიენტირებული პრაქტიკაზე. საერთაშორისო ექსპერტმა, რიჩარდ ჰეინსიმ განაცხადა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული აღნიშნული რჩევა არ ნიშნავს იმას, რომ სტუდენტებს არ აქვთ წვდომა შესაბამის რესურსებზე. რჩევაში იგულისხმება ის, რომ სტუდენტები კურიკულუმის გარეთ აქტივობების საშუალებით იყენებენ დამატებით პრაქტიკულ კომპონენტებს გამოცდილების ამაღლებისთვის წარმატებულად დასაქმების მიზნით. ექსპერტმა მაგდა მემანიშვილმა განაცხადა, რომ მიღებული პრაქტიკაა მედიის სკოლებში ის, რომ როდესაც იქმნება ვებგვერდი, მასზე იტვირთება სტუდენტების მიერ პროგრამის შიგნით ან გარეთ მომზადებული მედია პროდუქტი. მისი თქმით, უნივერსიტეტს გააჩნია შესანიშნავი სტუდია განათების სისტემით. ექსპერტები გაეცნენ სტუდენტების მიერ მომზადებულ სიუჟეტებს და ფოტო რეპორტაჟებს. გარდა ამისა, დაწესებულებამ ექსპერტებს გააცნო ელექტრონული გაზეთები და ჟურნალები. ეს ყველაფერი არ იყო მოთხოვნილი ექსპერტების მიერ იმიტომ, რომ ეს არის მედია სკოლის ორგანიზების საკითხი, რომელიც აპრობირებული მეთოდია. პროგრამის ხელმძღვანელმა, თამარ მალაღონაძემ აღნიშნა, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელმა სტუდენტებმა გააკეთეს სიუჟეტი ქართული ენის სწავლებასა და ამ ენის არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. ეს სიუჟეტი ატვირთული იყო როგორც ფაკულტეტის გვერდზე, ისე „Youtube”-ის პლატფორმაზე. დაწესებულება მომავალში გეგმავს პროგრამის საკუთარი ვებგვერდის გაკეთებას, სადაც აიტვირთება პროგრამის შესახებ საჭირო ინფორმაცია და სტუდენტების მიერ შესრულებული ნამუშევრები. მისი თქმით, ჟურნალისტიკაში ძალიან აქტიურად გამოიყენება მობილური ტელეფონები. სტუდენტები პრაქტიკულ მეცადინეობებზე წარმოადგენენ მობილური ტელეფონით გადაღებულ სიუჟეტებსა და ინტერვიუებს. პროგრამას აქვს ახალი სასწავლო კურსი „რადიო ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა“, რომელიც წინ უსწრებს „საწარმოო პრაქტიკას (რადიო)“. ეს კურსი შემუშავდა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე და ამ კურსში შეტანილია ელდარ იბერის 2021 წლის სახელმძღვანელო. „რადიო ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა“ არ არის თეორიული კურსი იმიტომ, რომ სილაბუსში დაწვრილებით არის გაწერილი პრაქტიკული სემინარები და პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებელი მეთოდები. საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, 5.2 ქვესტანდარტში მოცემულია შემდეგი: „გარე ექსპერტების შეფასება არ წარმოადგენს აკრედიტაციის სტანდარტების სავალდებულო მოთხოვნას. შედეგად, სტუ-ს არ აქვს მისი წარმოდგენის ვალდებულება.“ მას აინტერესებდა, რამდენად ლოგიკურია აღნიშნული შეფასებიდან გამომდინარე რეკომენდაციის გაცემა. ექსპერტმა სოფიო უგრეხელიძემ აღნიშნა, რომ სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს ის, რომ დაწესებულებას პროგრამებისთვის ჰქონდეს გარე შეფასება, თუმცა თუ უნივერსიტეტი ამას აკეთებს, რა თქმა უნდა, ეს კარგია და მისასალმებელია. მისი თქმით, დაწესებულებამ გარე შეფასება ისე უნდა განახორციელოს, რომ ფორმალური ხასიათი არ ჰქონდეს. ეკატერინე შაკიაშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს სამი გარე შეფასება წარმოდგენილი. გარე შეფასების დოკუმენტში უნდა მოინიშნოს ის შეკითხვები, რომლებსაც ეთანხმება ის პირი, რომელიც მას ავსებს. მაგალითად, პედაგოგ ხ.კ-ს მონიშვნის მაგივრად სიტყვიერად აქვს შევსებული აღნიშნული დოკუმენტი. ამრიგად, დაწესებულებამ ექსპერტებს გაუზიარა ერთი სიტყვიერად, ხოლო ორი მონიშნულად შევსებული დოკუმენტი. შესაბამისად, არცერთი არ არის მხოლოდ ხელმოწერილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:51
დასრულების დრო: 16:17

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავაზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით:

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ **სსიპ საქართველოს ტექნიკურიუნივერსიტეტის „ჟურნალისტიკი ს“საბაკალავრო**საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1.3 რეკომენდებულია, შეიცვალოს შეფასების შესრულების მეთოდი და გახდეს უფრო მოქნილი, პროგრამის გაუმჯობესების ძირითადი მიზნებისთვის.

1.5 რეკომენდებულია, განახლდეს და გამრავალფეროვნდეს ძირთადი სასწავლო ლიტერატურა.

4.1
ა) რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს პრაქტიკული გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი, დარგში არანაკლებ ხუთწლიანი მუშაობის გამოცდილებით.

ბ) რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, გარდა აკადემიური პერსონალისა, ჩაერთოს შემოქმედებითი ტექნიკური პერსონალი (ოპერატორები, მემონტაჟეები...), ვინც გააძლიერებს პრაქტიკული კომპონენტის სრულფასოვნად შესრულებას.

გ) რეკომენდებულია გაიზარდოს პროგრამის დარგობრივი მიმართულების აკადემიური პერსონალის რაოდენობა

4.3 უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაზარდოს მხარდაჭერის ღონისძიებები,
რომლებიც ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციას.

5.2 რეკომენდებულია გარე შეფასების მეთოდოლოგიის შეცვლა და უნივერსიტეტის მიერ განხორციელების შემთხვევაში არა მხოლოდ ფორმალური, არამედ შესაბამისი უკუკავშირის მიღება.

5.3 რეკომენდებულია შეიცვალოს კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობის მეთოდები პროგრამის განვითარებაში და თანამშრომლობის პროცესი გახდეს მოქნილი, ბიუროკრატიული, ქაღალდზე დაფუძნებული სამუშაოს გარეშე, შესაბამისი ეფექტური უკუკავშირის მისაღებად, რაც სასარგებლო იქნება კურიკულუმების მოდიფიკაციისა და განვითარებისათვის.

რჩევები:

▪ სასურველია გაფართოვდეს პროგრამის შესაძლებლობები საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამებისთვის.

▪ სასურველია გაფართოვდეს პროგრამის შეფასების მეთოდები, რომლებიც მოიცავს ფოკუს ჯგუფებს დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან, ნაცვლად ვიწრო-მოცულობის გამოკითხვებისა სწავლის შედეგებისა და პროგრამის სტრუქტურაზე უფრო მდიდარი უკუკავშირის მიღების მიზნით.

▪ სასურველია დროის მოკლე ვადებში გაიხსნას სტუდენტური მედიასაშუალებები, - ონლაინტელევიზია და ონლაინგაზეთი და/ან ჟურნალი სტუდენტების მიერ თავიანთი ჟურნალისტური პრაქტიკის განვითარების მიზნით.

▪ სასურველია, სტუდენტების წახალისება გაცვლით პროგრამებსა და საქართველოსა თუ საზღვარგარეთ ჩატარებულ სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობის გაფართოების მიზნით.

საბჭოს სხდომა დატოვეს მარინა მაისურაძემ, ნინო ბაქრაძემ და ნათია ზედგინიძემ.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „დიზაინის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო და „დიზაინის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიზაინი Design
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.09.2012 N555
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	დიზაინი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ბაკალავრი დიზაინში Bachelor of Arts in Design
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N 77, თბილისი, სტუ-ს სასწავლო კორპუსი და N 8; 0175, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიზაინი Design
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.09.2012 N556
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	დიზაინი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების მაგისტრი დიზაინში Master of Arts in Design
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი 0212
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N 77, თბილისი, სტუ-ს სასწავლო კორპუსიდა N8; 0175, თბილისი, საქართველო
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა მარინა მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, ბერნჰარდ კერნეგერი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ პროგრამების შეფასების დროს გამოიკვეთა არაერთი კარგი პრაქტიკა, რომელიც ასახულია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში კერძოდ, სტუდენტური ინდივიდუალური პრაქტიკის პლატფორმა, სტუდენტების საერთაშორისო კვლევების მონაცემები ორივე პროგრამისათვის და დიზაინის სკოლის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოებაში არსებულ გამოწვევების გადაჭრასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ფაკულტეტი ცდილობს სხვა დარგის სტუდენტების ინტეგრირებას აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაში. ბერნჰარდ კერნეგერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულება დიდ მხარდაჭერას გამოხატავს სტუდენტებისადმი ფინანსურ ნაწილში. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი წარმოადგენს დიდი უნივერსიტეტების ნაწილს, რომელსაც აქვს „დიზაინის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო და „დიზაინის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ არა მარტო რეკომენდაციების, არამედ რჩევების შესრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომლებიც არ არის ფორმალური კრიტერიუმების საფუძველზე ჩამოყალიბებული. მისი თქმით, შემოქმედებითი ტური სტუდენტის შემოქმედებითობაზე უნდა იყოს ორიენტირებული და არა ტექნიკურ ასპექტზე. აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტს კარგი პოზიცია აქვს სოციალური პასუხისმგებლობის საკითხზე - კერძოდ, ყურადღება აქვს გამახვილებული ეკონომიკურ ასპექტებზე და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის თვალსაზრისით სამომავლოდ განვითარების საკითხებზე. გარდა ამისა, დაწესებულებას სამაგისტრო პროგრამის მიმართ აქვს ინტერდისციპლინური მიდგომები. ბერნჰარდ კერნეგერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ სამაგისტრო ნაშრომი ორიენტირებული უნდა იყოს პრაქტიკულ კომპონენტზე. ასევე, მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს პროექტებზე და აკადემიური პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად უნდა იყვნენ აღნიშნულ

პროცესში ჩართულისამომავლოდ სამაგისტრო პროგრამის კიდევ უფრო მეტად განვითარების მიზნით. ექსპერტმა მაია გრძელიძემ განაცხადა, რომ წინა აკრედიტაციის პროგრამების გამოცდილებამ აღნიშნულ პროგრამებს დიდი დახმარება გაუწია. პროგრამები აბსოლუტურად სრულყოფილია იმ თვალსაზრისით, რომ შეესაბამება დიზაინის მიმართულებით შემუშავებეულ დარგობრივ მახასიათებლებს. გარდა ამისა, პროგრამას ახორციელებს მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი. ინტერნაციონალიზაციის პრობლემა პროგრამებზე არ დგას იმიტომ, რომ განმახორციელებელი პერსონალი, პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელები და დამსაქმებლები ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ მოიხსნა ბევრი რეკომენდაცია. პროგრამის მიმართ გაიცა 4 რეკომენდაცია. დაწესებულება სრულად იზიარებს 1.5, 2.4 და 2.1 სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციებს. დავით მახვილაძემ 3.1 სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რამდენიმე წელია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ონლაინ პლატფორმა vici.gtu.ge, რომელიც სტუდენტისთვის, პედაგოგისთვის და უნივერსიტეტის სხვა პერსონალისთვის, პრაქტიკულად საუნივერსიტეტო გარემოს ყველა მიმართულებით ქმნის ინფორმაციის მიღების (აკადემიური, ადმინისტრაციული), კომუნიკაციის, მოსაზრებების წარმოდგენის, გამოკითხვების ჩატარების და ა.შ. შესაძლებლობას. შესაბამისად, დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას არ იზიარებს. პროგრამის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ შავიშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად პროგრამების ხანმოკლე არსებობისა, დაწესებულებამ მოახერხა ინოვაციური ელემენტების შეტანა აღნიშნულ პროგრამებში. დარგის სპეციალისტი არ უნდა დაეყრდნოს ვიწრო სპეციალიზაციას იმიტომ, რომ წამყვანი მსოფლიოს დიზაინერები მუშაობენ ყველაფერზე. შესაბამისად, დაწესებულება ყველა გამოწვევას ითვალისწინებს და ის ხარვეზები, რომლებიც პროგრამებს გააჩნიათ ახლო მომავალში გამოსწორდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო ღაღანიძემ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის გასაუბრება კერძოდ, დაწესებულებამ უნდა შეამოწმოს აპლიკანტის მოტივაცია. გარდა ამისა, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ნახატები და ნახაზები. მას აინტერესებდა, როგორ ხდება აპლიკანტის შეფასება როგორც გასაუბრებაში, ისე მის მიერ წარმოდგენილ ნახატებსა და ნახაზებში. გარდა ამისა, რა იგულისხმება მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს „აცდენაში“, „აცდენა“ სპეციფიკურ დარგობრივ შინაარსობრივ კრიტერიუმებთან თუ საუნივერსიტეტო რეგულაციასთან. პროგრამის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ შავიშვილმა აღნიშნა, რომ აბიტურიენტთა მიღების პროცესი წინა წლებში გაადვილებული იყო იმიტომ, რომ არ არსებობდა შიდა საუნივერსიტეტო დაშვების წინაპირობები. გასაუბრების ფორმატი წარმოდგენას უნდა უქმნიდეს პირს იმის შესახებ თუ რა გრაფიკული სივრცითი აზროვნების შესაძლებლობები აქვს აბიტურიენტს. მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს აცდენა არის უნივერსიტეტში არსებულ დებულებასთან. ტექსტურის ნაწილი ყოველთვის გასაძლიერებელია. საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, პროგრამების მიმართ გაცემულია შემდეგი კლასტერული რჩევა: „შეამოწმეთ უსაფრთხოების ზომები ყველა სახელოსნოში, მათ შორის შეამოწმეთ ხის ცენტრალური საამქროს ელექტრული კაბელები“. მას აინტერესებდა, რამდენად არის დაწესებულებაში დაცული უსაფრთხოების ზომები პროგრამის განხორციელებისას.

ბერნჰარდ კერნეგერმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ცოტა დრო ჰქონდა მოფიქრებისთვის იმის შესახებ თუ სად გაეთვალისწინებინათ დასკვნაში ეს ინფორმაცია. რესურსების დათვალიერების დროს ნათელი იყო გარკვეული სარისკო სიტუაციები კონკრეტულ დანადგარებთან მიმართებით. ექსპერტმა ლუკა ბერაიამ განაცხადა, რომ დაწესებულებასთან ინტერვიუს დროს ექსპერტების მიერ მოთხოვნილი იქნა ვებგვერდი, სადაც მოხდებოდა სააპელაციო განცხადებების შევსება და შეტყობინებების გაგზავნა. ამასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის პასუხი იყო ის, რომ სტუდენტს მატერიალურად მოაქვს სააპელაციო განაცხადი ადმინისტრაციაში. შესაბამისად, 3.1 სტანდარტში მოცემული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი ეს გახდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:08
დასრულების დრო: 17:29

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **„დიზაინის“ ინგლისურენოვანი** საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ **სსიპ საქართველოს ტექნიკურიუნივერსიტეტის „დიზაინის“ინგ ლისურენოვან საბაკალავრო**საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **„დიზაინის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო** პროგრამის აკერედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ **სსიპ საქართველოს ტექნიკურიუნივერსიტეტის „დიზაინის“ინგ ლისურენოვან სამაგისტრო**საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭომ საბოლოოდ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

მხოლოდ საბაკალავრო პროგრამისთვის:
1.5 რეკომენდებულია, გადაამოწმდეს კურსებისა და პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილი და წაშალეთ ზოგიერთი მითითება იქ, სადაც ისინი არ არის სრულად ადეკვატური შესაბამისი კურსისთვის.
მხოლოდ საბაკალავრო პროგრამისთვის:
2.1 რეკომენდებულია,შესაბამისობში მოვიდეს შემოქმედებითი ტურის კრიტერიუმები პროგრამის სწავლის შედეგებთან.
მხოლოდ სამაგისტრო პროგრამისთვის:
2.4 რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რეგულაციების ისე მორგება, რომ ისინი შეესაბამებოდეს შეფასების კომიტეტის მიერ გამოყენებულ პრაქტიკას, რომელიც ღიად განიხილავს ნაშრომს და ერთობლივად წყვეტს შეფასებას.
კლასტერული რეკომენდაციები:
3.1 ონლაინ პლატფორმაზე VICI, მიეცით საშუალება სტუდენტებს, წარმოადგინონ ნებისმიერი სახის შეტყობინება ელექტრონული ფორმით;
4.4 კლასტერული რეკომენდაცია: რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს უსაფრთხოების ზომების დაცვა საგანამანთლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სახელოსნოებში.

რჩევები:
1.1 გამოწვევების მიუხედავად, გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები ეკონომიკური საჭიროებებისა და საზოგადოების პასუხისმგებლობის დასაბალანსებლად, სტუ-ს მისიის, სტრატეგიასა და საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების შესაბამისად. იმსჯელეთ სტუ-სა და დიზაინის საერთაშორისო სკოლის შესაძლებლობებზე, დაიწყონ დისკურსი უნივერსიტეტსა და საზოგადოებას შორის, რათა გამოავლინონ მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ინოვაციური პოტენციალი რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, ნაცვლად მხოლოდ ევროპის მრავალ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების რეპროდუცირებისა.
მხოლოდ საბაკალავრო პროგრამისთვის: სასურველია საბაკალავრო პროგრამის მიზნები შეესაბამებოდეს მიღწევის ერთსა და იმავე დონეს, განსაკუთრებით "დიზაინის საფუძველების" ნაწილში

- მხოლოდ სამაგისტრო პროგრამისთვის: სამაგისტრო პროგრამის მიზნებში მოხდეს ინტერდისციპლინური (და ტრანსდისციპლინური) მიდგომების, როგორც გლობალური გამოწვევების დაძლევისა და მდგრადი განვითარების საშუალების, ინტეგრირება.

მხოლოდ საბაკალავრო პროგრამისთვის:
1.2 პროგრამის მიზნების სრული შესაბამისობისთვის, შეცვალეთ პროგრამის სწავლის შედეგები დიზაინერების ცნობიერების ამაღლების გათვალისწინებით და საჭირო კომპეტენციების

გადაცემით, რათა მზად იყვნენ „ადამიანის მიერ წარმოქმნილ და ბუნებრივ გარემოში გაჩენილი სულ უფრო აქტუალური კითხვებისთვის“, როგორც ისინი სამაგალითოდ არის განხილული თვითშეფასების ანგარიშში;

- მხოლოდ სამაგისტრო პროგრამისთვის: პროგრამის მიზნებთან კიდევ უფრო უკეთესი შესაბამისობის მისაღწევად, გააფართოვეთ პროგრამის სწავლის შედეგები, ცნობიერების ამაღლებითა და ყველა იმ საჭირო კომპეტენციების დამატებით, რომელიც საჭიროა „ადამიანის მიერ ხელოვნურად შექმნილ და ბუნებრივ გარემოში არსებულ მზარდად მწვავე საკითხვებისთვის“, როგორც ეს სამაგალითოდ არის განხილული თვითშეფასების ანგარიშში და ასევე ნაჩვენებია არაერთი კურსის სილაბუსში.

1.3 სასურველია გაფართოვდეს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდაჭერა ტრენინგებით პროფესიული განვითარების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების განვითარებას სწავლის შედეგების გაზომვასა და გაანალიზებაში.

1.4 შეიქმნას დოკუმენტი პროგრამაზე მიმდინარე აკრედიტაციამდე ჩარიცხული სტუდენტებისთვის პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ, ასევე აღნიშნულ დოკუმენტში განთავსდეს ინფორმაცია ახალ პროგრამაზე სტუდენტთა მობილობის წესით გადასვლისას აღიარებული და განსხვავებული კრედიტების შესახებ.

- გაფართოვდეს პრაქტიკული/ტექნოლოგიური მუშაობის შესაძლებლობების სფერო, იქნება ეს წარმოების დამატებითი საშუალებები, თუ სტუ-ს შიგნით სხვა შესაბამის სფეროებთან კავშირების შექმნა (მაგ. მოდის/ტექსტილის დიზაინი);
- მხოლოდ საბაკალავრო პროგრამისთვის: დაემატოს სასწავლო კურსი (მინიმალური შესაძლო კრედიტებით), რომელიც მოიცავს საინჟინრო გრაფიკის ელემენტებს;
- მხოლოდ საბაკალავრო პროგრამისთვის: შემუშავდეს დამატებითი (Minor) პროგრამა მიმდინარე ძირითადი პროგრამის საფუძველზე და შეთავაზებულ იქნეს იგი სხვა საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებისათვის;
- მხოლოდ სამაგისტრო პროგრამისთვის: პროგრამის სწავლის შედეგებისა და კურსის სტრუქტურის შესაბამისად გადამუშავდეს სამაგისტრო ნაშრომის განმარტება, რომელიც მოიცავს თეორიული ნაწილის თანაბარ პრაქტიკულ ნაწილს.
- მხოლოდ სამაგისტრო პროგრამისთვის: დაინერგოს შესავალი სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს მისცემს იმ აუცილებელ ცოდნასა და უნარებს, რაც მათ დაეხმარება ავტონომიურად დაგეგმონ და შეასრულონ სამაგისტრო ნაშრომი.
- მხოლოდ სამაგისტრო პროგრამისთვის: გამონახეთ გზები, რომ მოახდინოთ სხვა დისციპლინების საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების აშკარად ინტეგრირება, რაც ღირებული პოტენციალი იქნება სტუდენტთა მთელი ჯგუფისთვის.

2.1 სპეციალობის გამოცდის ფარგლებში ტექნიკური (კომპიუტერული პროგრამის) კომპეტენციის გარდა, განხილულ იქნას შემოქმედებით ასპექტზე აქცენტირება და დავალებებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისად ადაპტირება.
2.2 კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიანიჭეთ სტუდენტურ ღონისძიებებს და პერიოდულად მოეწყოს ერთობლივი ღონისძიებები, კონკურსები და გამოფენები მომიჯნავე დარგების პროგრამების სტუდენტებთან, ასევე სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან ერთად, სტუდენტთა გამოცდილებისა და თანამშრომლობითი საქმიანობის არეალის გაფართოების მიზნით.

2.3 დაინრეგოს კოლეგიალური დაკვირვების პრაქტიკა და მისი სათანადო დოკუმენტირება, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის პასუხისმგებლობის გრძნობის მაღალ დონეზე შენარჩუნებას, არამედ მონიტორინგში მონაწილე პერსონალის პროფესიული უნარების გაფართოებას და გამოცდილების გაზიარებას.

- გადამოწმდეს სილაბუსებში ნახსენები სწავლებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისობა ცალკეულ კურსებში აღწერილ ფაქტობრივ აქტივობებში და საჭიროების შემთხვევაში განახლდეს სილაბუსები .

3.1 სასურველია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის შემდგომი გაუმჯობესება, გაცვლითი პროგრამებისა და მობილობით წასული სტუდენტების რაოდენობის გაზრდით.
4.3 გაძლიერდეს საერთაშორისო აქტივობები, რადგან ისინი საკვანძოა პერსონალისთვის სასარგებლო განვითარებისთვის და ქართულ ინსტიტუტებს შორის ცოდნის გადაცემისათვის და საერთაშორისო განვითარებისთვის.

- ჩამოაყალიბდეს რამდენიმე სპეციალიზებული (არაა საჭირო ბევრი) შეთავაზება სწავლებისა და სწავლის მეთოდების სფეროში, რაც ცალსახად მორგებული იქნება დიზაინის განათლების საჭიროებებზე;

პროგრამის ხელმძღვანელებისათვის შეთავაზებულ იქნას მათთვის, როგორც პროგრამის ხელმძღვანელთა საჭიროებისათვის განკუთვნილი ტრენინგები.

4.4 სტუდენტებისთვის შეიქმნას სახელოსნოს ყველა ობიექტის და წარმოების/ექსპერიმენტების გზამკვლევი, გამოყენების პირობების შესახებ შესაბამის ინფორმაციასთან ერთად;
შეიმუშავდეს პროგრამის განვითარების სტრატეგია სახელოსნოებისა და დამატებითი ტექნოლოგიების გაფართოებასთან დაკავშირებით, საკუთარი რესურსებისა და გარე პროვაიდერებთან გააქტიურებული თანამშრომლობის კომბინაციით;
5.1 პროგრამის მომდევნო თვითშეფასების პროცესში გათვალისწინებულ იქნას გადაუჭრელი საკითხები, რომლებიც პროგრამის განმახორციელებლებისათვის ცნობილია როგორც გასაუმჯობესებელი მხარე, ეს კი ხელს შეუწყობს გარე შემფასებლებისგან მაქსიმალური სარგებლის მიღებას.
5.3 სასურველია სასწავლო კურსების შეფასების შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს ყველა პასუხისმგებელი პედაგოგისა (მხოლოდ დადებითი გამოხმაურების შემთხვევაშიც) და ასევე მოწვეული პერსონალისთვის;

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფოტოხელოვნების“ საბაკალავრო, „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო, „მედიახლეოვნების/ციფრული მედიის“ საბაკალავრო, „მედიახელოვნების/ციფრული მედიის“ სამაგისტრო, „მედიახელოვნების/ციფრული მედიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო, „მედიახელოვნების/ციფრული მედიის“ სადოქტორო, „მედიახელოვნების/ციფრული მედიის“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფოტოხელოვნება Photography
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	21.10.2011N 163

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფოტოგრაფია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს თსსა შემოქმედებითი ტური, ინფორმაცია შემოქმედებითი ტურის შესახებ ხელმისაწვდომია აბიტურიენტისათვის ტურის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. www.art.edu.ge
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ბაკალავრი ფოტოხელოვნებაში Bachelor of Fine Arts in Photography
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/ წარმოება Audio-Visual Techniques and Media Production
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიახელოვნება/ციფრული მედია Media arts/Digital Media
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	21.10.2011N 161
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ციფრული მედია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს თსსა შემოქმედებითი ტური, ინფორმაცია

		შემოქმედებითი ტურის შესახებ ხელმისაწვდომია აბიტურიენტისათვის ტურის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. www.art.edu.ge
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების ბაკალავრი მედიახელოვნება /ციფრულ მედიაში Bachelor of Fine Arts in Media arts/Digital Media
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/ წარმოება Audio-Visual Techniques and Media Production
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გრაფიკული დიზაინი Graphic Design
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	21.10.2011N 162
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გრაფიკული დიზაინი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს თსსა შემოქმედებითი ტური, ინფორმაცია შემოქმედებითი ტურის შესახებ ხელმისაწვდომია აბიტურიენტისათვის ტურის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. www.art.edu.ge
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	

		ხელოვნების ბაკალავრი გრაფიკულ დიზაინში Bachelor of Fine Art in Graphic Design
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/ წარმოება Audio-Visual Techniques and Media Production
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიახელოვნება/ციფრული მედია Media arts/Digital Media
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.08.2012 N 339
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ციფრული მედია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	მედიახელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხება პირი, თუ მას გააჩნია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, ჩააბარებს თსსა-ს მიერ ორგანიზებულ გამოცდას უცხო ენაში და სპეციალობის გამოცდას. www.art.edu.ge
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების მაგისტრი მედიახელოვნება Master of Fine Arts in Media Arts
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/ წარმოება

		Audio-Visual Techniques and Media Production
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიახელოვნება/ციფრული მედია Media arts/Digital Media
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	მედიახელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხება პირი, თუ მას გააჩნია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და გასაუბრება-პორტფოლიო
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ხელოვნების მაგისტრი მედიახელოვნება Master of Fine Arts in Media Arts
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/ წარმოება Audio-Visual Techniques and Media Production
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიახელოვნება/ციფრული მედია Media arts/Digital Media
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს; დოქტორანტურაში მღების წესი გაწერილია თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში/დოქტორანტურაში მიღების წესი: თავი III. www.art.edu.ge
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დოქტორი მედიახელოვნება PhD of Media Arts
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/ წარმოება Audio-Visual Techniques and Media Production
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	20
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიახელოვნება/ციფრული მედია Media arts/Digital Media
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს; ინტერვიუ. ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე. სამოტივაციო წერილი და თემის აბსტრაქტი. www.art.edu.ge
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დოქტორი მედიახელოვნება PhD of Media Arts
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/ წარმოება Audio-Visual Techniques and Media Production
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	20
14	განხორციელების ადგილი	გრიბოედოვის ქ. N22; თბილისი; 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ღაღანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი გიორგი ნიკურაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტები ვიზიტის დროს წააწყდნენ მატერიალურ ტექნიკური ბაზის პრობლემას. კერძოდ, პროგრამული უზრუნველყოფა და კომპიუტერები არ შეესაბამებოდა სასწავლო პროცესისათვის აუცილებელ თანამედროვე სტანდარტებს. როგორც დაწესებულება აღნიშნავს, უნივერსიტეტში გამოცხადებულია მატერიალური ტექნიკური ბაზის შესყიდვის ტენდერი და მომდევნო სემესტრიდან მოხდება აუდიტორიების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. მან აღნიშნა, რომ გრაფიკული დიზაინის საბაკალავრო პროგრამაზე ბოლო სამი წლის მონაცემებით ყველა სტუდენტი „A”-ზე ამთავრებდა პროგრამას, რაც გამოწვეული იყო მატერიალური ტექნიკური ბაზის უქონლობით,ლექტორს არ ჰქონდა შეფასების ფორმების უკეთ გამოყენების შესაძლებლობა. გიორგი ნიკურაძემ განაცხადა, რომ დაწესებულება უახლოეს პერიოდში გადადის ახალ საბიბლიოთეკო სივრცეში, სადაც სტუდენტებს მიეცემათ ერთმანეთთან კოლაბორაციის საშუალება, რაც მისასალმებელია და კარგია. მისი თქმით, სტუდენტებს დამატებით უნდა ჰქონდეთ თანამედროვე ტექნოლოგიებით მუშაობის შესაძლებლობა. ეს შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან, სადაც სტუდენტები გაეცნობიან იმ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რომლებზეც შრომის ბაზარზე მოუწევთ მუშაობა. შესაბამისად, ამ მიმართულებით დაწესებულებას ბევრი აქვს სამუშაო. ექსპერტმა მაია ლევანიძემ აღნიშნა, რომ „ფოტოხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაიცა რეკომენდაციები იმიტომ, რომ პრობლემა იყო პროგრამის მიზნებსა და შედეგებში სპეციფიკური ტერმინების გამოყენების მიმართულებით. მაგალითად, პროგრამის შედეგებში ზედმეტი იყო ისეთი ჩანაწერი როგორიცაა „ღილაკის დაჭერა“, „ჩანახატის შექმნა“ და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ფოტოგრაფიის შესწავლის დროს სილაბუსებით არის გათვალისწინებული მეტ-ნაკლებად ფოტოგრაფიის ისტორიის შესწავლაც, აუცილებელია ამ უკანასკნელის ცალკე თეორიულ დისციპლინურ დარგად ჩამოყალიბება. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია იყო ის, რომ ფოტოგრაფიის ისტორიას შეიტანდნენ კინოს ისტორიაში. ფოტოგრაფია და კინოხელოვნება მიუხედავად იმისა, რომ ისინი გაერთიანებული არიან აუდიო ვიზუალურ ხელოვნებაში, სხვადასხვა სპეციფიკური დისციპლინური დარგებია და მათი ერთად გაერთიანება დაუშვებელია. ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ფოტოგრაფიის ისტორიის სასწავლო კურსში გარდა ქართული ლიტერატურისა, მითითებული უნდა იყოს უცხოური ლიტერატურაც. შესაბამისად, უნივერსიტეტი მხოლოდ ქართულენოვანი ლიტერატურით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. მისი თქმით, მედიახელოვნების/ციფრული მედიის პროგრამებში შეინიშნებოდა პრობლემა, კერძოდ, ხმის დიზაინს სტუდენტები სწავლობენ ვიწრო გაგებით, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ კონსერვატორიის სტუდენტებისთვის. აუცილებლად უნდა შეიცვალოს ციფრულ მედიაში ხმის დიზაინის, რეჟისურის და ა.შ. საკითხები. გარდა ამისა, ცვლილებები უნდა განხორციელდეს სილაბუსებში. რეკომენდებულია დაემატოს დარგის სპეციალისტი ხელმძღვანელად. ასევე, რეკომენდებულია სადოქტორო დონეზე გაძლიერდეს კვლევის კომპონენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, ნანა იაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ექსპერტთა

ჯგუფის მიერ გაიცა 30 კლასტერული რეკომენდაცია, რომელთა დიდი ნაწილი იყო ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული და ეფემერული. მან საერთო ინდუსტრიის თორმეტ პრიორიტეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თორმეტ პრიორიტეტიდან ოთხი განეკუთვნება კონკრეტულად აუდიო ვიზუალური ხელოვნების, კინო ტელეხელოვნების, მხატვრული ფილმის, დოკუმენტური ფილმის და ა.შ. მიმართულებას. მისი თქმით, ფოტოხელოვნება არის ფოტოხელოვნება და არა ფოტოგრაფია. ფოტოხელოვნების დარგი ისეთივე მულტიპროფილური და მრავალფეროვანია, როგორც ზოგადად მედიახელოვნება. დაწესებულება იზიარებს რამდენიმე კლასტერულ რეკომენდაციას, რომელიც ფოტოგრაფიის მიმართ გაიცა. ნანა იაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ცხრა საერთო ფაქტობრივი უზუსტობა დაფიქსირდა გაცემულ რეკომენდაციებში, ხოლო ორი გადავიდა რჩევაში. აუდიოვიზუალური მიმართულების კერძოდ, ხმის დიზაინის მიმართ გაცემული რეკომენდაცია რჩევაში გადავიდა და დაწესებულებისთვის გაუგებარია ამ საკითხის წინ პლანზე. 30 კლასტერული რეკომენდაციიდან 3 რჩევაში გადავიდა. ფოტოხელოვნების მიმართ გაცემული 18 რეკომენდაციიდან 3 რჩევაშია გადატანილი, ხოლო 5 ამოღებულია. მან განაცხადა, რომ 40 ახალი თაობის კომპიუტერი არის შესყიდული, რომელიც იანვრის თვეში მთლიანად დააკომპლექტებს უნივერსიტეტს. ციფრული მედიის საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაცემული 3 რეკომენდაციიდან ერთი ამოღებულია. სამაგისტრო საფეხურის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამის მიმართ გაცემული 4 რეკომენდაციიდან ორი რეკომენდაცია სრულად გაუგებარია. მისი თქმით, სადოქტორო პროგრამა არის კვლევაზე და პრაქტიკაზე ორიენტირებული. შესაბამისად, გაუგებარია ექსპერტთა პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდოს კვლევითი კომპონენტი სადოქტორო პროგრამაზე. ყველა პროგრამაში ასახულია თანახელმძღვანელი, მისი როლი და უფლებამოსილება. სადოქტორო საფეხურზე სავალდებულოა ორი თანახელმძღვანელის არსებობა. დაწესებულება ითვალისწინებს დარგთაშორის კავშირს და ტენდენციებს, რომლებიც ამ სფეროში სწრაფად ვითარდება. ნათელა გრიგალაშვილმა ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამის მიმართ განაცხადა, რომ სტუდენტები სწავლობენ სხვადასხვა საგნებს კერძოდ, პორტრეტს, დოკუმენტურ ფოტოგრაფიას და თავისუფალ ფოტოგრაფიას. ეს საგნები სტუდენტს აძლევს იმის საშუალებას, რომ შემოქმედებითად მიუდგეს თავის პროფესიას. მაგალითად, თუ სტუდენტი სწავლობს სარეკლამო ფოტოგრაფიას, პედაგოგი ამ კურსის ფარგლებში განხილავს რეკლამის ფოტოგრაფიის ისტორიასაც. რუსუდან ერისთავმა 2.2. რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას იმიტომ, რომ საჭიროა უფრო სიღრმისეულად შრომის ბაზრის საფუძვლიანი ემპირიული ანალიზის ჩატარება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადებითად აღინიშნა ის, რომ ზოგიერთი დამსაქმებელი მაღალი პასუხისმგებლობით იყო ჩართული აღნიშნულ პროცესში. ეს განპირობებული იყო იმით, რომ დამსაქმებლები არიან პროგრამების კურსდამთავრებულები. 3.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს მოცემულ რეკომენდაციას. უნივერსიტეტს დადებითი დინამიკა აქვს გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით კერძოდ, სტუდენტები “Erasmus +” პროგრამით ხშირად სარგებლობენ. მისი თქმით, 1.3 რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებს და მიაჩნია, რომ ის უნდა გადავიდეს რჩევაში. ექსპერტმა თინათინ გაბრიჩიძემ განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაციები გასცა იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც დაწესებულებამ წარმოადგინა. რუსუდან ერისთავმა 3.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებს იმიტომ, რომ არსებული სტანდარტი არ ავალდებულებს უსდ-ს, რომ დანერგოს შესაბამისი წახალისების მექანიზმები მოწვეულ და დასაქმებულ პერსონალისთვის. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია უნდა გადავიდეს რჩევაში. 4.4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იმ სართულზე, სადაც მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები სწავლობენ, რემონტი დასრულებულია და სასწავლო სივრცე შეესაბამება სტანდარტებს. შესაბამისად, ამ რეკომენდაციას უნდა ჰქონდეს რჩევის სტატუსი. 5.1 რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძალისხმევას და მათ მიერ გაწეულ სამუშაოს, მათ შორის დაწესებულებაში ხარისხის კულტურის ამაღლების პროცესში პერსონალის ჩართულობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, უნივერსიტეტისთვის გაუბერია აღნიშნულ რეკომენდაციას რატომ აქვს რეკომენდაციის და არა რჩევის სტატუსი. 5.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტის პორტალზე ატვირთული არის კითხვარები როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, დაწესებულებას აქვს კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის მექანიზმი მატერიალურ ბაზებთან და აკადემიის სივრცესთან დაკავშირებით. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ექსპერტთა ჯგუფი კიდევ ერთხელ ითვალისწინებს და პრინციპში ეთანხმება დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში მოწოდებულ ყველა ინფორმაციას, მათ შორის იმ ფაქტს, რომ გამოკითხვები სისტემატურად ტარდება და მათი შედეგები განიხილება და გამოიყენება პროგრამების გასაუმჯობესებლად. მისი თქმით, უცხოელმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ სახელოვნებო უმაღლესებში ისეთი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა არ არის როგორიც სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაშია. შესაბამისად, ეს რეკომენდაცია უნდა გადავიდეს რჩევაში. რუსუდან ერისთავმა 2.4. რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას იმიტომ, რომ საბოლოო ნაშრომის დაცვის შეფასების პროცედურა და კრიტერიუმები აღწერილია სამაგისტრო და სადოქტორო ქართულენოვან და ინგლისურენოვან პროგრამებში, ასევე შესაბამის დებულებებში. გარდა ამისა, შეფასების ფორმები შესაბამისია ვიზუალური კომუნიკაცია მედია ხელოვნების დარგობრივი მაჩვენებლის შესაბამისად. 4.3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არსებული სტანდარტით სავალდებულო არ არის წახალისების მექანიზმების დანერგვა მოწვეული პერსონალისათვის. გარდა ამისა, მოწვეული პერსონალი დასაქმებულია უნივერსიტეტში და მისი ხელფასი განისაზღვრება საათობრივი დატვირთვით. შესაბამისად, აღნიშნულ რეკომენდაციას არ იზარებს უნივერსიტეტი. 4.4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის დროს მიეწოდათ ტენდერის განაცხადის დოკუმენტი. გარდა ამისა, არგუმენტირებულ პოზიციას დაწესებულებამ თან დაურთო მატერიალური ბაზის შესყიდვის დოკუმენტი. იანვრიდან მოხდება აუდიტორიების კომპიუტერებით უზრუნველყოფა და მოეწყობა ფოტო ლაბორატორია. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულება სამეცნიერო პუბლიკაციების დაბეჭდვის საფასურს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს უფინანსებს. სანდრო ასათიანმა განაცხადა, რომ მედიახელოვნების/ციფრული მედიის ქართულენოვან და ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამის მიმართ გაიცა მსგავსი რეკომენდაცია კერძოდ, „აუდიოვიზუალური ხელოვნების ფარგლებში, დაემატოს ცოდნასთან დაკავშირებული შედეგების შესაბამისი სფეროები, რადგან სტუდენტს მომავალში მოუწევს ამ სფეროს სპეციალისტებთან ურთიერთობა. ამ სფეროთა დიაპაზონი მერყეობს აუდიოვიზუალური თეორიიდან ისტორიამდე, რაც შეიძლება განაწილდეს უფრო თანაბრად და უფრო სიღრმისეულად, კონკრეტულ თემებში, განსაკუთრებით თანამედროვე თემებში“. მისი თქმით, ექსპერტებმა არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ინგლისურენოვანი პროგრამიდან ამოიღეს ეს რეკომენდაცია, თუმცა ქართულენოვან პროგრამაში დატოვეს. დარგობრივ მახასიათებლებში კერძოდ, დეტალურ სფეროში მოცემული საგანი აღნიშნულია როგორც აუდიო ვიზუალური მეთოდები და პროდუქცია, თუმცა კვალიფიკაციაში აუდიო ვიზუალური ხელოვნება, კინოხელოვნება და რეჟისურა ცალკეა. ეს სფერო იყოფა ბევრ კვალიფიკაციად და ის კვალიფიკაცია, რომელიც დაწესებულებას აქვს, პირდაპირ ამ სფეროსთან არ არის კავშირში. 1.5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ყველა სასწავლო კურსი არის პრაქტიკული და პროგრამის დასასრულს სტუდენტს უწევს პროექტის შექმნა. 4.2 რეკომენდაციასთან მიმართებით სანდრო ასათიანმა აღნიშნა, რომ მედიახელოვნების პროგრამის თანახელმძღვანელია. გარდა ამისა, ილიაუნის ასოცირებული პროფესორი. მისი თქმით, ის ვერ იქნებოდა მედიახელოვნების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი იმიტომ, რომ აფილირებული პროფესორია სხვა უნივერსიტეტთან. ნანა იაშვილმა, 1.2

რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ბუნდოვანი და ზოგადია. კვლევითი სამუშაო ეყრდნობა და ვითარდება და მოიცავს შემდეგ საერთო მახასიათებელს: კონცეპტუალური აზროვნება, იდეის ფორმირება, განხორციელება და წარდგენა, ისტორია, თეორია და კულტურა, შემოქმედებითი პროცესების გადააზრება/გადაფასება, ინტერპრეტაცია, ექსპერიმენტული, ინოვაციური მიდგომები და თემატური კვლევები, ციფრული და ტექნოლოგიური ინსტრუმენტები/პროგრამული უზრუნველყოფა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია და ინტერდისციპლინარული ოპერირება და შემოქმედებითი მეწარმეობა. ეს ყველაფერი დაცულია სადოქტორო დისერტაციის საერთო სტრუქტურულ აგებულებაში. შესაბამისად, აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებს. 4.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს ის საკითხი თუ როგორ შეიძლება გადანაწილდეს ფაკულტეტის ცხრა აფილირებული პროფესორი, ხუთი პროფესორი და ოთხი ასოცირებული პროფესორი საკუთარი კომპეტენციების და დარგის პრიორიტეტებიდან გამომდინარე. მისი თქმით, აკადემიური მოღვაწეობა დარგში ექსპერტების მხრიდან არ არის აღქმული სპეციალობაში მოღვაწეობად. აღნიშნულ საკითხს არეგულირებს სამაგისტრო, სადოქტორო და საბაკალავრო პროგრამების დებულებები, სადაც კონკრეტულად არის გაწერილი რა რაოდენობის სტუდენტი შეიძლება ჰყავდეს ერთ პროფესორს. მისი თქმით, სტუდენტების რაოდენობა ხუთიდან რვამდე მერყეობს. ფაკულტეტზე ოცი კვალიფიციური აფილირებული პროფესორია. გაუგებარია როგორ გამოთვალეს ექსპერტებმა მათი რაოდენობა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პერსონალის წარმოდგენილი სიები, მათი CV და ენის კომპეტენციის სხვა დამადასტურებელი საბუთები და განსაკუთრებით გასაუბრებები ადასტურებს, რომ მთელ დაწესებულებაში არის 4 ან მაქსიმუმ 5 ადამიანი, რომელსაც შეუძლია ინგლისურად ასწავლოს ან/ და უხელმძღვანელოს საჭირო დონეზე. ნანა იაშვილის თქმით, უცხოელ პროფესორებს ხელშეკრულებები გაუფორმდებათ უცხოენოვანი პროგრამების აკრედიტაციის გავლის და განხორციელებისთანავე. უნივერსიტეტის რექტორმა, ვახტანგ ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ყველა რეკომენდაციას იზიარებს და ის ხარვეზები, რომლებიც პროგრამებში აღინიშნება ახლო მომავალში გამოსწორდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, ფოტოხელოვნების საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: „უნდა დაზუსტდეს შიდა შესაბამისობა და ტექნოლოგიებსა და მეთოდებზე რეალური მითითება“ და „ფოტოხელოვნების პროგრამის მიზნები უნდა იყოს უფრო მკაფიოდ განსაზღვრული, რათა დაუკავშირდეს ცალკეული კურსის მიზნებსა და შედეგებს, ასევე შეესაბამებოდეს იმას, რაც რეალურად სჭირდებათ დამსაქმებლებს“. მას აინტერესებდა, რა რაოდენობის სასწავლო კურსებზეა საუბარი აღნიშნულ რეკომენდაციებში. ექსპერტმა მაია ლევანიძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები ეხება სპეციალობის კურსებს, სადაც სპეციფიკაზე არის მეტი ყურადღება გამახვილებული. მისი თქმით, აქცენტები გაკეთებულია ტერმინოლოგიაზე, სპეციფიკაზე და ა.შ. პროგრამის შედეგებში ეს პრობლემა გამოიკვეთა. რამდენიმე შედეგი პასუხობს ზუსტად დარგის სპეციფიკის მოთხოვნებს, ხოლო დანარჩენი არა. შესაბამისად, უფრო ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის შედეგები. საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, უნივერსიტეტს რამდენი კურსდამთავრებული ჰყავს სადოქტორო პროგრამაზე. გარდა ამისა, რომელი წლიდან ფუნქციონირებს სადოქტორო პროგრამა. ნანა იაშვილმა განაცხადა, რომ ამჟამად სადოქტორო დისერტაციის დაცვისთვის ემზადება 4 სტუდენტი. სადოქტორო პროგრამა 2014 წლიდან ფუნქციონირებს. მისი თქმით, საქართველოს მასშტაბით მხოლოდ 4 მედიახელოვნების დოქტორია. საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი პრაქტიკული კურსის სილაბუსში არის შემდეგი მოთხოვნა სტუდენტის მიმართ: „დამოუკიდებლად შეუძლია კლიენტთან მუშაობა.“ მას აინტერესებდა, როგორ ამყარებს სტუდენტი კლიენტთან ურთიერთობას და ეს უნარი როგორ დასტურდება. ანა

წერეთელმა განაცხადა, რომ ეს არის სიმულაციური თამაში. პედაგოგი არის დამკვეთის, ხოლო სტუდენტი დიზაინერის როლში. ერმილე მესხიამ განაცხადა, რომ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსში კერძოდ, „პედაგოგიური პრაქტიკაში“ წერია შემდეგი: „მაგისტრანტი ატარებს ლექციას ბაკალავრიატის ჯგუფში“, ხოლო ექსპერტთა დასკვნაში წერია შემდეგი: „კურსდამთავრებულებმა ასევე ერთსულოვნად გამოთქვეს რეალური პრაქტიკული გამოცდილების აუცილებლობა სკოლის გარეთ. მათ ასევე ურჩევნიათ სწავლის დროს ეწვიონ რეალურ სამუშაო ადგილებს - ეს დიდწილად დაადასტურეს სტუდენტებმაც. მათ არ ჰქონდათ დასაქმების რეალობასთან და „რეალურ კლიენტებთან“ შეხება“. აღნიშნული სასწავლო კურსის მიხედვით პრაქტიკა ითვალისწინებს აკადემიის შიგნით აქტივობების განხორციელებას. მას აინტერესებდა, არის თუ არა ისეთი აქტივობა, რომელიც აკადემიის მიღმა სტუდენტის დამატებით ჩართულობას ითვალისწინებს. ნანა იაშვილმა განაცხადა, რომ მეორე სემესტრის ბოლოს ყველ მიმართულების სტუდენტი გადის ორკვირიან გარე პრაქტიკას. რუსუდან ერისთავმა აღნიშნა, რომ წლის ბოლოს მე-4 კურსის სტუდენტები გადიან პრაქტიკას იმ დაწესებულებებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული მემორანდუმი. ერმილე მესხიას აღნიშნა, რომ ისეთ არჩევით სასწავლო კურსებში როგორებიცაა „Art მარკეტინგი“ და „მარკეტინგი“, სწავლის შედეგებში ხდება გადაფარვა. გარდა ამისა, ლიტერატურაც იდენტურია. შესაბამისად, კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი ამას მიაქცევს ყურადღებას. ნანა იაშვილმა განაცხადა, რომ აუცილებლად გადაიხედება აღნიშნული სასწავლო კურსები. ერმილე მესხიას თქმით, დასკვნაში, 146 გვერდზე მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი შეფასება პერსონალის კვალიფიკაციის კერძოდ, „პერსონალის კვალიფიკაცია ნაწილობრივ შეესაბამება მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას“. რამდენიმე წინადადების ბოლოს წერია შემდეგი: „თუმცა, თითოეული მასწავლებელი თავისი სპეციალობით საინტერესო პროექტების ავტორია“. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი. ექსპერტმა მაია ლევანიძემ განაცხადა, რომ პედაგოგს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული პროექტები შესრულებული მედია ხელოვნების დარგში. როდესაც შემოწმდა პედაგოგთა CV-ები, ბევრს ჰქონდა გამოცდილება არქიტექტურაში, სახვით ხელოვნებაში და ა.შ. მისი თქმით, სტანდარტი ითხოვს მედიახელოვნების გამოცდილებას ბოლო 5 წლის განმავლობაში. პროგრამის ხელმძღვანელს, რომელსაც აქვს თეორიული გამოცდილება, აუცილებელია თანახელმძღვანელად ჰყავდეს ისეთი ადამიანი, რომელსაც 5 წლის მანძილზე მედიახელოვნების სფეროში მოღვაწეობის გამოცდილება ექნება. ერმილე მესხიამ განაცხადა, რომ დასკვნაში არ იგრძნობა დარგობრივ მახასიათებელთან პროგრამის შესაბამისობის საკითხი. მას აინტერესებდა, რამდენად არის პროგრამა დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში. მაია ლევანიძემ აღნიშნა, რომ დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი არის ზოგადი რეკომენდაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავიდეს პროგრამა შედეგზე. მისი თქმით, დარგობრივ მახასიათებელში არ ფიქსირდება ის საგნები, რომლითაც გადის ესა თუ ის პროგრამა შედეგზე. ერმილე მესხიას აინტერესებდა, რომელ სფეროშია ძველი ლიტერატურა მითითებული. მაია ლევანიძემ განაცხადა, რომ ძველი ლიტერატურა არის მითითებული მულტიმედიაში. მულტიმედია ისეთი დარგია, რომელიც ყოველწლიურად საჭიროებს ლიტერატურის განახლებას. საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს რამდენი დოქტორანტის აყვანის უფლება აქვს. ნანა იაშვილმა განაცხადა, რომ ვალიდური ვადით სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს 4 დოქტორანტის აყვანა შეუძლია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:14
დასრულების დრო: 21:54

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის **„ფოტ ოხელოვნების“ საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ **სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „ფოტოხელოვნების“ საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის **„გრაფ იკული დიზაინის“ საბაკალავრო** პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთიწლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ **სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის **„მედი ახლეოვნების/ციფრული მედიის“ საბაკალავრო** პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

მომხრე -13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ **სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახლეოვნების/ციფრული მედიის“ საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის **„მედი ახლეოვნების/ციფრული მედიის“ სამაგისტრო** პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ **სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახლეოვნების/ციფრული მედიის“ სამაგისტრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის **„მედი ახლეოვნების/ციფრული მედიის“ინგლისურენოვანი სამაგისტრო** პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ **სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახლეოვნების/ციფრული მედიის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო** სა განმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის **„მედი ახლეოვნების/ციფრული მედიის“სადოქტორო** პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ორ წელში მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ **სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახლეოვნების/ციფრული მედიის“ სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2 წელში მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის **„მედი ახლეოვნების/ციფრული მედიის“ინგლისურენოვანი სადოქტორო** პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 2 წელში მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ **სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის „მედიახლეოვნების/ციფრული მედიის“ინგლისურენოვან სადოქტორო** სა განმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2 წელში მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
კლასტერის რეკომენდაციები:

● რეკომენდებულია უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის პერსონალის ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების მეთოდების შემუშავებაში და შედეგების შეფასებაში; მხარი დაუჭიროს მათ პროცესისთვის აუცილებელი უნარებისა და ცოდნის გამომუშავებაში
● რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამების სასწავლო გეგმის რუკები; რუკებზე დაყრდნობით, შემუშავდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, შეფასების კონკრეტული პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების მითითებით, რომლებიც დაზუსტებული უნდა იყოს თითოეული პროგრამისთვის, სპეციალობის სპეციფიკისა და მათი სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით. უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. ამ პროცესში ტერმინოლოგია უკეთესად უნდა იყოს ასახული და მოწესრიგებული; გამოყენებული უნდა იყოს აუდიოვიზუალური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია, რადგან ახლა ის ზედმეტად ზოგადია;
● რეკომენდებულია, შრომის ბაზრის საფუძვლიანი ემპირიული ანალიზის ჩატარება, რაც მიზნად ისახავს ზუსტად დადგინდეს ის რეკვიზიტები, რომლებიც საჭიროებენ დამსაქმებლების მიერ აღნიშნული დამატებითი სწავლების აუცილებლობას კურსდამთავრებულებისთვის. ამ ემპირიული კვლევის შემდეგ, სასწავლო კურსები უნდა დაკორექტირდეს, გამოვლენილი მოთხოვნების შესაბამისად. ეს ძალისხმევა უზრუნველყოფს კლასტერის კურსდამთავრებულებისთვის აუცილებელი ცოდნის სფეროების ყოვლისმომცველ დაფარვას, შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მიერ გამოხატული კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად;
● რეკომენდებულია, შეფასების მეთოდების გადახედვა და შეცვლა, საგნების სპეციფიკის შესაბამისად;
● რეკომენდებულია დაინერგოს გამჭვირვალე და თანაბრად დაცული კრიტერიუმები საბოლოო ნაშრომის შესაფასებლად, ხელმძღვანელობის ინდივიდუალურ შემთხვევებში მიკერძოების განეიტრალებისთვის.
● რეკომენდებულია შემცირდეს პროგრამის მართვაში ერთპიროვნულობის რისკი და განიტვირთოს ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა (რომელიც ასევე მოქმედებს როგორც სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი და ფაქტობრივად, ასევე ჩართულია აქ განხილული სხვა პროგრამების მართვაში). ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს ისე, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა, რომლებიც ამჟამად ნომინირებულნი არიან, მაგრამ არ აქვთ რეალურად უფლებამოსილება (ან ცოდნა, პროცესების კომპეტენცია, სტუდენტების შერჩევა, პროგრამის განახლება, დამსაქმებლებთან კონტაქტი და ა.შ.) რეალურად იზრუნონ თავიანთ პროგრამებზე.

● თუკი მედიახელოვნების პროგრამები მიიღებენ აკრედიტაციას, რეკომენდებულია, რომ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის პროგრამებს ჰყავდეთ ცალ-ცალკე ხელმძღვანელები, და თუკი აკრედიტაცია მიენიჭება ინგლისურენოვან პროგრამებს, მაშინ მათ ხელმძღვანელებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ენის ცოდნა.
● რეკომენდებულია ინვესტიცია ჩაიდოს მასწავლებელთა მუდმივ პროფესიულ განვითარებაში. მიეწოდოთ მათ განახლებული ინფორმაცია უახლეს კვლევებსა და განათლების საუკეთესო პრაქტიკებზე.
● რეკომენდებულია დაინერგოს წახალისების მექანიზმი მოწვეული პერსონალის ამჟამად არაანაზღაურებადი სამუშაოს დასაჯილდოვებლად, განსაკუთრებით მათ ადმინისტრაციულ და ხელმძღვანელობით საქმიანობაში.
● რეკომენდებულია გაიმიჯნოს პროგრამის ხელმძღვანელების და ფაკულტეტის დეკანის უფლება-მოვალეობები. განისაზღვროს პროგრამის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა პროგრამების შემუშავების, სრულყოფის და განვითარების საქმეში.
●რეკომენდებულია ინგლისურენოვანი პროგრამების ხელმძღვანელებს ჰქონდეთ ინგლისური ენის ცოდნის კომპეტენცია
● რეკომენდებულია აუცილებელია ტექნიკური ბაზის გაძლიერება, რაც პირდაპირ კავშირშია თანხების მოზიდვასთან.
● რეკომენდებულია უზრუნველყოფილ იქნას სტრატეგიული და ეფექტური მიდგომა პროგრამებში ახალი აღჭურვილობის შესაძენად. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს სტუდენტებს.
● რეკომენდებულია დასრულდეს სასწავლო სივრცეების მოწყობა.
● რეკომენდებულია უსდ ამბიციურად მიუდგეს სასწავლო სივრცეების დასრულებას და უზრუნველყოს მხოლოდ სტუდენტური სამუშაოსთვის განკუთვნილი ადგილი (სტუდია) მინიმუმ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის.
● რეკომენდებულია პროგრამების ბიუჯეტის დაგეგმვის, როგორც სტრატეგიული მიდგომის ჩამოყალიბება და ყველა პროგრამის საბიუჯეტო ხაზის გადახედვა ბიუჯეტში კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და პროგრამების საერთო განვითარებისათვის საჭირო ხარჯების, განსაკუთრებით აღჭურვილობის შეძენისათვის განკუთვნილი ხარჯების უზრუნველყოფის მიზნით.
● რეკომენდებულია გაიზარდოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის ხარსხი, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში და მათი თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის ოფისთან, რადგან ჩანს რომ, ახალგაზრდა პერსონალი, ინფორმირებულია და მოტივირებულია ამისთვის.
● რეკომენდებულია, გამოკითხვის კითხვარების საფუძვლიანი სისტემატიზაცია და IT მხარდაჭერა მომხმარებლის გამოცდილებისა და ფუნქციონალურობის თვალსაზრისით, ისევე როგორც სტუდენტებს შორის გამოკითხვების თანმიმდევრული პოპულარიზაცია, რათა მონაცემები (რომელზეც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ასე ძლიერ არის დამოკიდებული) იყოს შესაბამისი და თანმიმდევრული.
● რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების შედეგების საფუძვლიანი და სისტემატური ანალიზი ინდივიდუალური პროგრამისა და სასწავლო კურსის დონეზე. მიგნებები უნდა განხორციელდეს ციკლურად, რათა გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხარისხის სრულად შეკრული ციკლით.

რეკომენდაციები პროგრამებისთვის:

პროგრამა 1 ფოტოხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა:

● რეკომენდებულია ფოტოხელოვნების პროგრამის მიზნები განისაზღვროს მკაფიოდ , ა დაუკავშირდეს ცალკეული კურსის მიზნებსა და შედეგებს, ასევე შეესაბამებოდეს დამსაქმებელთა საჭიროებებს;
● რეკომენდებულია შესაბამიშობაში მოვიდეს ცალკეული კურსების მიზნები პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან, ასევე დამსაქმებლის მოთხოვნებთან.
● რეკომენდებულია დაზუსტდეს შიდა შესაბამისობა და ტექნოლოგიებსა და მეთოდებზე რეალური მითითება (იხ. ანალიზი);
● რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობით, რათა ისინი სრულად შეესაბამებოდეს დარგის სპეციფიკას და შეიცავდეს დარგისთვის საჭირო ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, აგრეთვე იყოს თანმიმდევრული.
● რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს ფოტოგრაფიის ისტორია და ხელოვნება;
● რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის საგნობრივი ბადე და შევიდეს მასში ცვლილებები, პროგრამის სწავლის შედეგებისა და ამოცანების გათვალისწინებით.
● რეკომენდებულია, დამსაქმებლები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულები და მონაწილეობა მიიღონ პროგრამის შემუშავებაში;
● რეკომენდებულია გადაიხედოს „საკურსოს“ და „პორტფოლიოს“ სილაბუსსები , რადგან ისინი ნაწილობრივ არათანმიმდევრულია მიზნებისა და მუშაობის მეთოდების თვალსაზრისით;
● რეკომენდებულია, სილაბუსის გადახედვა „2D რასტრული გრაფიკა“, რომელიც ძალიან ზედაპირულია და არ იძლევა შესაძლებლობას, ასწავლოს სტუდენტს ფოტოხელოვანისთვის საჭირო ხელსაწყოები;
● რეკომენდებულია, მოძველებული სავალდებულო ლიტერატურის ახლით ჩანაცვლება;
● რეკომენდებულია სავალდებულო ლიტერატურაში რეკომენდებულია ქართულენოვანი წყაროების ჩართვა;
● რეკომენდებულია დამხმარე ლიტერატურაში უცხოენოვანი წყაროების მითითება;
● პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, ინგლისური ენის ცოდნა, როგორც წინაპირობა იმ საგნებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ ქართულენოვანი წყაროები;
● რეკომენდებულია, სალექციო ბადის შინაარსის გადახედვა სილაბუსებში: „თავისუფალი პროექტი“, „თავისუფალი პროექტი/თემატური“, „სარეკლამო და საიმიჯო ფოტოგრაფია“, რათა თავიდან იქნას აცილებული შინაარსის გამეორება და დუბლირება;

პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა:
● რეკომენდებულია ტექნიკური ბაზის განახლება ან გარე სტუდიური მხარდაჭერა/ჩართვა რეალური პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად;

პროგრამა 3 მედიახელოვნება/ციფრული მედია, საბაკალავრო პროგრამა:
● აუცილებელია პროგრამაში ვიზუალური ხელოვნების ისტორიის ნაწილის შემცირება და აუდიოვიზუალური ხელოვნების ისტორიით ჩანაცვლება;
● რეკომენდებულია დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედია ხელოვნება“, რეალურად „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ უკავშირდება დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით, საჯარო ინფორმაციაში).
● შეფასების სისტემაში ხმის დიზაინი ფასდება, როგორც ცალკე საგანი. ამიტომ აუცილებელია ხმის დიზაინის სწავლება არა მხოლოდ პროგრამების დაუფლების ან მუსიკალური ნაკადის მიმართულებით, არამედ ზოგადად (ხმა, პროგრამები: ბუნებრივი ხმები, მუსიკალური ლაიტმოტივი და ა.შ.);
● რეკომენდებულია რიგი სასწავლო კურსების გადახედვა მათში პრაქტიკული სწავლის (შედეგების) კომპონენტის სეტანის მიზნით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების გაყვანას უსდ

გარეთ, მაგალითად: განთავსება, სტუდიასა და სამუშაო ადგილებზე ვიზიტები, სამუშაზე ფარული დაკვირვება და ა.შ., ან რეალური პროექტები შეტანილ იქნას კლასში. აღნიშნული სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას ჰქონდეთ შეხება რეალურ კლიენტებთან ჯერ კიდევ კურსის დასრულებამდე.

პროგრამა 4 მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი):

● ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულთადასაქმების სფერო მოიცავს თეატრს, კინოს, ტელეინდუსტრიას, სახვითი ხელოვნების შესწავლის პარალელურად აუცილებელია აუდიოვიზუალური სფეროს სპეციფიკის შესწავლის გაფართოება. სილაბუსის დონეზე რეკომენდებულია, თეორიული ნაწილის გაძლიერება და კვლევის კომპონენტისთვის მეტი ყურადღების დათმობა;

● რეკომენდებულია მედიახელოვნების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს დაემატოს თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს აუდიოვიზუალური და მედიახელოვნების კვალიფიკაცია და მედიახელოვნების აქტიური პროფესიული გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში.

● რეკომენდებულია გაიზარდოს სამაგისტრო პროგრამებში კვლევითი სამუშაოს მნიშვნელობა.

● რეკომენდებულია უსდ-მ მონიტორინგი გაუწიოს ხელმძღვანელებისა და მათი მაგისტრანტებისა და დოქტორანტების რაოდენობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროცესისა და მუშაობის ხარისხი, ასევე პერსონალის რეალისტური სამუშაო დატვირთვა;

პროგრამა 5 მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი):

● ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო მოიცავს თეატრს, კინოს, ტელეინდუსტრიას, სახვითი ხელოვნების შესწავლის პარალელურად აუცილებელია აუდიოვიზუალური სფეროს სპეციფიკის შესწავლის გაფართოება. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს თანამედროვე ხელოვნების ისტორიას და უახლესი ტენდენციებისა და ტექნოლოგიების გაცნობას.

● რეკომენდებულია მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს თანამედროვე ხელოვნების ისტორიას და უახლესი ტენდენციებისა და ტექნოლოგიების გაცნობას;

● რეკომენდებულია მედიახელოვნების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს დაემატოს თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს აუდიოვიზუალური და მედიახელოვნების კვალიფიკაცია და მედიახელოვნების აქტიური პროფესიული გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში.

● რეკომენდებულია გაიზარდოს სამაგისტრო პროგრამებში კვლევითი სამუშაოს მნიშვნელობა.

● რეკომენდებულია უსდ-მ მონიტორინგი გაუწიოს ხელმძღვანელებისა და მათი მაგისტრანტებისა და დოქტორანტების რაოდენობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროცესისა და მუშაობის ხარისხი, ასევე პერსონალის რეალისტური სამუშაო დატვირთვა;

პროგრამა 6 მედიახელოვნება/ციფრული მედია, სადოქტორო პროგრამა (ქართულენოვანი):

● რეკომენდებულია გაფართოვდეს პროგრამის შედეგები თანამედროვე ხელოვნების ან ახალი/ინტერმედია სფეროების მიმართ, რასაც რეალურად მოემსახურება მედიახელოვნების პროგრამა;

● რეკომენდებულია გაიზარდოს სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი და გახდეს უფრო მეტად შესაბამისი დასაქმებისთვის. ხელმძღვანელი უფრო მეტად უნდა იყოს ჩართული ხელმძღვანელობაში და მისი ვალდებულებები უნდა იყოს მკაფიო

● გაიზარდოს პროგრამის სასწავლო კომპონენტი, რომელიც შეძლებს უზრუნველყოს კვლევითი კომპონენტის შესრულების ხარისხის ამაღლება.

● მაშინაც კი, თუ პროგრამებისთვის პერსონალის რაოდენობა და შესაძლებლობები მინიმალურად საკმარისი ჩანს, თუ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები ერთად უნდა განხორციელდეს, რეკომენდებულია გაიზარდოს პერსონალი როგორც საერთო რაოდენობის კუთხით, ასევე უნდა გაიზარდოს მათი ენის ცოდნის კომპეტენცია, რათა შეძლონ ხელმძღვანელობა ინგლისურ ენაზე და მუშაობა სხვადასხვა შესაძლო სფეროში;

● რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებმა ხელი შეუწყონ და თვალი ადევნონ დოქტორანტის მიერ კვლევის ინსტრუმენტებისა და ბიბლოგრაფიის მითითების წესის გამოყენებას
● რეკომენდებულია მედიახელოვნების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს დაემატოს თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს აუდიოვიზუალური და მედიახელოვნების კვალიფიკაცია და მედიახელოვნების აქტიური პროფესიული გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში.
● დაინერგოს სადოქტორო ნაშრომების შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები.
● რეკომენდებულია უსდ-მ მონიტორინგი გაუწიოს ხელმძღვანელებისა და მათი მაგისტრანტებისა და დოქტორანტების რაოდენობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროცესისა და მუშაობის ხარისხი, ასევე პერსონალის რეალისტური სამუშაო დატვირთვა;

პროგრამა 7 მედია ხელოვნება/ციფრული მედია (სადოქტორო) (ინგლისურენოვანი):
● რეკომენდებულია გაფართოვდეს პროგრამის შედეგები თანამედროვე ხელოვნების ან ახალი/ინტერმედია სფეროების მიმართ, რასაც რეალურად მოემსახურება მედიახელოვნების პროგრამა;
● რეკომენდებულია გაიზარდოს სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი და გახდეს უფრო მეტად შესაბამისი დასაქმებისთვის. ხელმძღვანელი უფრო მეტად უნდა იყოს ჩართული ხელმძღვანელობაში და მისი ვალდებულებები უნდა იყოს მკაფიო.
● უნდა გაიზარდოს პროგრამის კვლევითი კომპონენტი;
● მაშინაც კი, თუ პროგრამებისთვის პერსონალის რაოდენობა და შესაძლებლობები მინიმალურად საკმარისი ჩანს, თუ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამები ერთად უნდა განხორციელდეს, რეკომენდებულია გაიზარდოს პერსონალი როგორც საერთო რაოდენობის კუთხით, ასევე უნდა გაიზარდოს მათი ენის ცოდნის კომპეტენცია, რათა შეძლონ ხელმძღვანელობა ინგლისურ ენაზე და მუშაობა სხვადასხვა შესაძლო სფეროებში;
● რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებმა ხელი შეუწყონ და თვალი ადევნონ დოქტორანტის მიერ კვლევის ინსტრუმენტებისა და ბიბლოგრაფიის მითითების წესის გამოყენებას
● რეკომენდებულია მედიახელოვნების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს დაემატოს თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვს აუდიოვიზუალური და მედიახელოვნების კვალიფიკაცია და მედიახელოვნების აქტიური პროფესიული გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში.
● დაინერგოს სადოქტორო ნაშრომების შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები.
● რეკომენდებულია უსდ-მ მონიტორინგი გაუწიოს ხელმძღვანელებისა და მათი მაგისტრანტებისა და დოქტორანტების რაოდენობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროცესისა და მუშაობის ხარისხი, ასევე პერსონალის რეალისტური სამუშაო დატვირთვა;

კლასტერული რჩევები:
● რამდენადაც „მედიახელოვნება“, როგორც სახელწოდება, ფაქტობრივად, უკავშირდება „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ ქართულ დასაქმების რეალობაში, რადგან მაგისტრატურის და დოქტორანტურის კურსდამთავრებულებისთვის არ არსებობს ხელოვნების სფეროს წარმოებაში მუშაობის რეალური შესაძლებლობები (როგორც კულტურული ინდუსტრია), ეს უკეთ უნდა აისახოს პროგრამის შესავალ ნაწილებში.
● სახელოვნებო სადოქტორო ნაშრომი/კვლევა საქართველოში უკვე ოფიციალურად არის აღიარებული, თუმცა აკადემიური ცხოვრებისა და კულტურული სფეროს ყველა ასპექტში ფაქტობრივი აღიარება ჯერ კიდევ მისაღწევია, რაც დაწესებულებამ იცის და ცდილობს ამაში წვლილი შეიტანოს. ამისთვის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია ამ მიმართულებით უფრო სტრატეგიული და ენერგიული მიდგომის ჩამოყალიბება, ვინაიდან თსსა არის ხელოვნების მთავარი ეროვნული აკადემია და, შესაბამისად, პასუხისმგებელია ასეთ პროგრესსა და აღიარებაზე;

● სასურველია, აკადემიამ პროგრამებისა და სასწავლო გეგმების მიხედვით გადახედოს თეორიულ და ისტორიულ კურსებს, ისე, რომ ისინი რეალურად ასახავდნენ მედიახელოვნების სფეროს რეალობას და აქტუალურობას;
● სასურველია, დაინერგოს სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესის სტრუქტურირებული მიდგომა (სილაბუსების აგება), რომელიც ასევე მოიცავს მეთოდოლოგიურ/დიდაქტიკურ მხარდაჭერას; ოფიციალური სახე მიეცეს და გახდეს სრულად გამჭვირვალე (ასევე, სრულად გასაგები როგორც დაინტერესებული მხარეებისთვის, განსაკუთრებით სტუდენტებისა და დამსაქმებლებისთვის) ის მონაცემები, რომელთა საფუძველზეც ხდება პროგრამის შემუშავება და/ან ცვლილება.
● სასურველია, ტექნიკის სწავლა პროგრამული უზრუნველყოფის საბაზისო უნარების თვალსაზრისით მინიმუმამდე იქნას დაყვანილი (რადგან ამის სწავლა შესაძლებელია ონლაინ) და დიდწილად განვითარდეს აკადემიურ და კრეატიულ დონეზე, სტუდენტის ინდივიდუალურ შემოქმედებით პოტენციალსა და კომპეტენციაზე ხაზგასმით;
● სასურველია ქართული/მსოფლიო ხელოვნების ისტორია განახლდეს ისე, რომ სასწავლო კურსი შეესაბამებოდეს მედიახელოვნების იმ სფეროებს, რომელთაც ეს კურსი ეხება;
● სასურველია რეალურ მომხმარებელთან და ბაზართან მუშაობის პრაქტიკის დანერგვა მემორანდუმებით ან სხვა თანამშრომლობითი ფორმატით. ხოლო კვლევითი პროგრამებისთვის აუცილებელია არჩეული თემის აქტუალობის კონტროლი;
● სასურველია, შეიქმნას პოზიტიური და მხარდამჭერი საკლასო გარემო;
● სასურველია კლასტერმა გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები სწავლებისა და სწავლის გასაუმჯობესებლად, მაგალითად: ბაკალავრიატის დონეზე (ძირითადი გამოყენება), ასევე სამაგისტრო პროგრამაზე (მოწინავე გამოყენება);
● სასურველია, რომ განხილული კლასტერის პროგრამებში (მაგ., საბაკალავრო, მაგრამ ასევე სამაგისტრო) შემცირდეს იმ წერილობითი ტესტების საერთო რაოდენობა და წილი, რომლებიც დამოკიდებულია დისკურსიულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებზე, და მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული ცოდნისა და კომპეტენციების შეფასებას, რაც საკვანძოა შემოქმედებითი აკადემიური დისციპლინებისთვის;
● სასურველია ელექტრონული სწავლების დროს დაინერგოს სტუდენტთა შეფასებების სანდოობისა და მართებულობის მონიტორინგის მეთოდი;
● სასურველია სტუდენტებს მიეცეთ უფრო სტრუქტურირებული და თანმიმდევრული ხარისხის უკუკავშირი მთელი პროგრამის მასშტაბით (გამოყოფილი იყო თეორიული და ისტორიული საგნები; განსხვავებით უფრო პრაქტიკული/ტექნიკური საგნებისგან, სადაც გამოხმაურება მყისიერი და ფართოა);
● საერთაშორისო მობილობა უნდა გახდეს უფრო აღიარებადი და მეტად სისტემატური (განსაკუთრებით, ერასმუსის მხარდაჭერით) სტუდენტებისთვის;
● უსდ-მ აქციოს კარიერული სერვისები/ცენტრი სტუდენტებისთვის კარგად ნაცნობ და პრაქტიკული ღირებულების მქონე ერთეულად.
● რეკომენდებულია დაბალანსდეს ხელმძღვანელობის დატვირთვა მოწვეულ და დასაქმებულ პერსონალს შორის და ორივე მხარისთვის დაინერგოს შესაბამისი წახალისების მექანიზმები.
● სასურველია შეთავაზებულ იქნას ტუტორის სერვისები და ვორქშოფები, რათა თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით გაუმჯობესდეს სტუდენტების სასწავლო უნარები; ხელი შეეწყოს მათ აკადემიურ ზრდას და სრულყოფას.
●სასურველია ზრუნვა კარიერულ განვითარებაზე: მიეცეს მიმართულება კარიერის მოძიების დროს, რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის შექმნასა და გასაუბრებისთვის მომზადებაში, რათა უსდ დაეხმაროს სტუდენტებს, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები და ხელიდან არ გაუშვან დასაქმების შესაძლებლობები.

● სასურველია ზრუნვა ცხოვრებისეული უნარების განვითარებაზე: უსდ-მ მოაწყოს სემინარები დროის მართვის, სტრესის მენეჯმენტის და სხვა აუცილებელი ცხოვრებისეული უნარების შესახებ, რათა ხელი შეეწყოს სტუდენტების აკადემიურ წარმატებას და გონებრივ კეთილდღეობას;

● ვინაიდან მოწვეული მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელების შემდეგ, წარმოადგენდნენ ორივე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელების უმრავლესობას, ამან შესაძლოა რისკი შეუქმნას მათ ხელმისაწვდომობის და ასევე შეიზღუდოს მათ მიერ გაწეული სამუშაოს დაფასების შესაძლებლობები; შესაბამისად, უსდ-მ სასურველია განიხილოს არამხოლოდ წახალისების მექანიზმების, არამედ საკონტრაქტო პირობების (ანაზღაურების) გაუმჯობესებაც;

● სასურველია უსდ-მ სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელი პერსონალის რეალური მოცულობა შეუსაბამოს (მათ შორის შეჩერებულ ეტაპებზე) მისაღებ კვოტას და დაინერგოს ხელმძღვანელობითი საქმიანობის სამართლიანად და გამჭვირვალედ განაწილების მექანიზმი;

●სასურველია პერსონალს, როგორც დასაქმებულს, ასევე მოწვეულს, განემარტოთ, პროფესიული/აკადემიური კვალიფიკაციის მოთხოვნები აფილაციისთვის და უსდ-მ მათ შესთავაზოს დახმარება კარიერული პროფილის განვითარებაში ამ მოთხოვნების შესაბამისად;

● პლაგიატში ხელოვნური ინტელექტის მოხმარების ტენდენციები უფრო და უფრო პრობლემატური ხდება და შესაბამისად, სასურველია უფრო მწვავედ და მკაცრად უნდა გაითვალისწინონ ეს ნაშრომების ხელმძღვანელებმა.

● სასურველია გადაიხედოს წამყვანი/საკვანძო პერსონალის პროფესიული და აკადემიური კვალიფიკაცია ყველა პროგრამისთვის და უზრუნველყოფილ იქნას, რომ ისინი განახლებულია და გამჭვირვალედ არის წარმოდგენილი, ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი სტუდენტებისთვის.

● სასურველია დაინერგოს მასწავლებელთა საერთაშორისო მობილობის მხარდაჭერა და მენეჯმენტის მიერ მისი აღიარება, პროცესის თანმიმდევრული ხელშეწყობა;

● სასურველია უსდ-მ შესთავაზოს მასწავლებლებს სწავლებაში გამოყენებული მასალების დაბეჭდვის მხარდაჭერა;

● სასურველია აფილირებული პროფესორებისადმი მეტი მხარდაჭერა და წახალისება - მათი კვლევის დაფინანსება, მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების დაფინანსება და ა.შ.

● სასურველია დაჩქარდეს კაფეტერიის საკითხის მოგვარება;

● სასურველია უსდ-მ თანდათან უნდა განავითაროს ერთობლივი სამუშაო სივრცე, სადაც გაიმართება თანამშრომლობითი შეხვედრები დამსაქმებლებთან და მეცნიერებთან ადგილობრივი და პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, ეს შეიძლება იყოს პროექტების სივრცე ან სადემონსტრაციო ლაბორატორია, სახელოვნებო +სამეცნიერო გალერეა.

● სასურველია მოწესრიგდეს და გამარტივდეს სწავლების IT მხარდაჭერა; უსდ-მ განიხილოს სხვადასხვა პლატფორმის დაკავშირება.

● სასურველია უსდ-ს მენეჯმენტმა და განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელებმა წარმოადგინონ უფრო პროაქტიული მიდგომა თანხების მოსაპოვებლად როგორც აღჭურვილობის შესაძენად, ასევე სტუდენტების ინდივიდუალური სივრცის განახლებისთვის; მათ თანდათან უნდა გადალახონ დამოკიდებულება სახელმწიფო დაფინანსებასა და არარეგულარულ ერთჯერად გრანტებზე აშშ-ს საელჩოსგან (ან ევროკავშირის იშვიათი პროექტებიდან) და უფრო სტრატეგიულად მოაგვარონ არასაკმარისი აღჭურვილობის მწვავე საკითხი;

● სასურველია მთლიანად ფაკულტეტმა და ინდივიდუალურმა პროგრამებმა ისარგებლონ უფრო დიფერენცირებული, დარგობრივი და განსაკუთრებით კრიტიკული გარე შეფასებით, რომელიც მისცემს მათ კონკრეტულ რჩევებს (და თანმდევ შეფასებას) რამდენიმე მიმართულებით გაუმჯობესების მიზნით.

● გარდა ამისა, სასურველია დამსაქმებლებთან კონტაქტი იყოს უფრო ინტენსიური, მჭიდრო და მკაფიოდ აგებული ცალკეულ პროგრამებსა და დასაქმების ინდივიდუალურ პროფილებზე.

რჩევები პროგრამებისთვის:

პროგრამა 1 ფოტოხელოვნება, საბაკალავრო პროგრამა:

● სასურველია, გადაიხედოს და დაკონკრეტდეს შემდგომი საგნების სწავლის შედეგები, მიზნები და შინაარსი: „თავისუფალი პროექტი“, „თავისუფალი პროექტი/თემატური“;

● სასურველია, რომ ჩამოთვლილი საგნები გადავიდეს არჩევით განყოფილებაში: „საგამომცემლო დიზაინი“, „შესავალი ადვერტოლოგიაში“, „ადვერტოლოგიის საფუძვლები“, „კომპოზიცია და რეკლამა ექსტერიერში“, „კომპოზიცია და რეკლამა ინტერიერში“;

● სასურველია პროგრამის ხელმძღვანელი უფრო სიღრმისეულად ა იყოს ჩართული პროგრამის რეალურ მართვაში;

● პროგრამა, რომელიც მოითხოვს და საშუალებას აძლევს სტუდენტებს იმუშაონ სხვადასხვა კომპანიასთან თანამშრომლობით, რათა ამით რეალურად გამოსცადონ მომხმარებელთან მუშაობა, სასურველია უზრუნველყოფდეს განახლებულ და საკმარისი რაოდენობის აპარატურასა და კომპიუტერულ პროგრამას.

● სასურველია მოეწყოს სემინარები ფოტოინდუსტრიაში თანამედროვე დრონების მუსაობის შესახებ .

● სასურველია პროგრამის ხელმძღვანელები უფრო პროაქტიული იყვნენ არასაკმარისი აღჭურვილობის საკითხის მოგვარებაში, თსსა-ს მთავარ მმართველ გუნდთან კონტაქტისა და ერთობლივი მუშაობის გზით. აღჭურვილობის დაფინანსების საკითხს უნდა მიენიჭოს მაღალი პრიორიტეტულობა.

პროგრამა 2 გრაფიკული დიზაინი, საბაკალავრო პროგრამა:

● სასურველია დაბალანსდეს სასწავლო გეგმა ისე, რომ ნაკლებად დატვირთული იყოს გრაფიკული დიზაინერის შეფუთვის დიზაინის ნაწილით, რამეთუ შეფუთვა (ქაღალდით), ნაკლებად დომინანტური იქნება გრაფიკული დიზაინერის მომავალ საქმიანობაში.

● სასურველია მოხდეს მეორე შუალედური - 30 ქულიანი შეფასების კონსოლიდირება და გადანაწილდეს სამ 10-10 ქულიან დავალებებად. ეს კორექტირება შედეგად მოგცემთ სულ 10 სამქულიანი დავალების ან საკლასო სამუშაოს, ერთ 30-ქულიან შუალედურსა და 40-ქულიან დასკვნით გამოცდას.

● სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს, რომ პრაქტიკული საგნების ყველა ლექტორი აკმაყოფილებს ინდუსტრიის შესაბამის მოთხოვნებს (კერძოდ: თეატრის რეჟისორს, რომელიც ასწავლის აუდიოვიზუალურ რეჟისურას, არ აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება).

● სასურველია უსდ-მ ითანამშრომლოს სხვადასხვა კომპანიასთან, სადაც მუდმივად მიმდინარეობს ტექნიკური ანალიზი პროფესიული თუ სამომხმარებლო ინტერესებიდან გამომდინარე და უზრუნველყოს აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მხარს უჭერს ამას.

● სასურველია პროგრამის ხელმძღვანელები პროაქტიული უნდა იყვნენ არასაკმარისი აღჭურვილობის საკითხის მოგვარებაში, თსსა-ს მთავარ მმართველ გუნდთან კონტაქტისა და ერთობლივი მუშაობის გზით. აღჭურვილობის დაფინანსების საკითხს უნდა მიენიჭოს მაღალი პრიორიტეტულობა.

პროგრამა 3 მედიახელოვნება/ციფრული მედია, საბაკალავრო პროგრამა:

● სასურველია, აუდიოვიზუალური ხელოვნების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიცვალოს დისციპლინების - „რეჟისურა“, „დრამატურგია“, „ხმის დიზაინი“- სწავლების პრინციპი.

● სასურველია დასაქმებისას უსდ-მ გაითვალისწინოს კვალიფიკაცია და შემოქმედებითი გამოცდილება აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში;
● სასურველია გადაიხედოს ლექტორთა სია, განსაკუთრებით პრაქტიკულ საგნებში, რათა უსდ დარწმუნდეს, რომ ისინი აკმაყოფილებენ ინდუსტრიის შესაბამის მოთხოვნებს მედია/ციფრული ხელოვნების სფეროში.
● სასურველია პროგრამის ხელმძღვანელები პროაქტიული უნდა იყვნენ არასაკმარისი აღჭურვილობის საკითხის მოგვარებაში, თსსა-ს მთავარ მმართველ გუნდთან კონტაქტისა და ერთობლივი მუშაობის გზით. აღჭურვილობის დაფინანსების საკითხს უნდა მიენიჭოს მაღალი პრიორიტეტულობა;

პროგრამა 4 მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი):
● რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამაში ისწავლებოდეს აუდიოვიზუალური რეჟისურის საფუძვლები და მონტაჟის ძირითადი პრინციპები, სტუდენტის მიერ სასურველი შედეგის მიღებისა და სასურველი უნარების განვითარების მიზნით;
● დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედია ხელოვნება“, რეალურად უკავშირდება „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე, როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში.
● სასურველია, სადიპლომო სამუშაოს მომზადების წესი ინდივიდუალურად გაიწეროს ორივე საფეხურზე, მაგისტრატურაზე და დოქტორანტურაზე.
● სასურველია მაგისტრატურაზე და განსაკუთრებით დოქტორანტურის დონეზე, უსდ-მ მხარი დაუჭიროს სტუდენტებს კვლევაში და მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებისთვის ან ნებისმიერი პუბლიკაციებისთვის სტატიების მოზადებაში; უსდ დარწმუნდეს, რომ ისინი იღებენ სიღრმისეულ ცოდნას და კრიტიკული აზროვნების უნარს. მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნება ამაღლებს სტუდენტების აკადემიურ პროფილებს, ხელს უწყობს მათ აკადემიურ და პროფესიულ წარმატებას;
● მაშინაც კი, თუ ზოგადად ნაშრომის ხელმძღვანელი პერსონალის კვალიფიკაცია მინიმალურად საკმარისი ჩანს პროგრამისთვის, სასურველი იქნება უსდ დარწმუნდეს, რომ ხარისხიან ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს პროფილური პერსონალი იმ რაოდენობით, რომელიც ასახავს სტუდენტთა ჩარიცხვის პროგნოზირებულ რაოდენობას;
● სასურველია, პრაქტიკული სამუშაოების გამდიდრება შესაბამისი აღჭურვილობის ხელმისაწვდომობით, რათა სამაგისტრო ნაშრომების თეორიული ნაწილი კარგად იყოს მხარდაჭერილი.

პროგრამა 5 მედიახელოვნება/ციფრული მედია, სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი):
● სასურველია სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს კვლევითი და პედაგოგიური კომპონენტი;
● დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედია ხელოვნება“, რეალურად უკავშირდება „შემოქმედებით ინდუსტრიებს“ დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე, როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში.
● სასურველია, ადიპლომო სამუშაოს მომზადების წესი ინდივიდუალურად გაიწეროს ორივე საფეხურზე, მაგისტრატურაზე და დოქტორანტურაზე.
● სასურველია, მაგისტრატურაზე და განსაკუთრებით დოქტორანტურის დონეზე, უსდ-მ მხარი დაუჭიროს სტუდენტებს კვლევაში და მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებისთვის ან ნებისმიერი პუბლიკაციებისთვის სტატიების მოზადებაში; უსდ დარწმუნდეს, რომ ისინი იღებენ სიღრმისეულ ცოდნას და კრიტიკული აზროვნების უნარს. მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნება ამაღლებს სტუდენტების აკადემიურ პროფილებს, ხელს უწყობს მათ აკადემიურ და პროფესიულ წარმატებას;
● მაშინაც კი, თუ ზოგადად ნაშრომის ხელმძღვანელი პერსონალის კვალიფიკაცია მინიმალურად საკმარისი ჩანს პროგრამისთვის, სასურველი იქნება უსდ დარწმუნდეს, რომ

ხარისხიან ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს პროფილური პერსონალი იმ რაოდენობით, რომელიც ასახავს სტუდენტთა ჩარიცხვის პროგნოზირებულ რაოდენობას;
● სასურველია, რაქტიკული სამუშაოების გამდიდრება შესაბამისი აღჭურვილობის ხელმისაწვდომობით, რათა სამაგისტრო ნაშრომების თეორიული ნაწილი კარგად იყოს მხარდაჭერილი.

პროგრამა 6 მედია ხელოვნება/ციფრული მედია, სადოქტორო პროგრამა (ქართულენოვანი):
● უსდ-მ განიხილოს სწავლებადი კურსების ეტაპობრივი ზრდა, დავუშვათ „კოლოკვიუმი" რომ ოფიციალურად სავალდებულო ორნაწილიანი კურსი გახდეს ან სხვაგვარად მოხდეს მენტორობისა და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის ძირითადი ეტაპების ფორმალიზება ან სხვაგვარად იქნას უზრუნველყოფილი ექსპერტული ცოდნა შერჩეულ კვლევით დარგებში.
● დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედია ხელოვნება", რეალურად უკავშირდება „შემოქმედებით ინდუსტრიებს" დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე, როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით საჯარო ინფორმაციაში).
● სადოქტორო კურსი „თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები" უნდა დაზუსტდეს და დაკორექტირდეს როგორც შედეგების, ისე სწავლა-სწავლების სტრუქტურის თვალსაზრისით, რათა ეს კურსი მართლაც შესაფერისი იყოს სადოქტორო პროგრამისთვის და რელევანტური იყოს ყველა სტუდენტისთვის;
● აუცილებელია სადიპლომო სამუშაოს მომზადების წესი ინდივიდუალურად გაიწეროს ორივე საფეხურზე, მაგისტრატურაზე და დოქტორანტურაზე;
● მაგისტრატურაზე და განსაკუთრებით დოქტორანტურის დონეზე, უსდ-მ მხარი დაუჭიროს სტუდენტებს კვლევაში და მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებისთვის ან ნებისმიერი პუბლიკაციებისთვის სტატიების წერაში; უსდ დარწმუნდეს, რომ ისინი იღებენ სიღრმისეულ ცოდნას და კრიტიკული აზროვნების უნარს. მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნება ამაღლებს სტუდენტების აკადემიურ პროფილებს, ხელს უწყობს მათ აკადემიურ და პროფესიულ წარმატებას;
● სასურველია არჩეული სადისერტაციო თემის თემატურობისა და აქტუალობის კონტროლი, მით უმეტეს, რომ ტექნოლოგიური განვითარების ტემპი მაღალია და დოქტორანტები უმეტეს შემთხვევაში 3 წელიწადში ვერ ასრულებენ დისერტაციას.

პროგრამა 7 მედია ხელოვნება/ციფრული მედია, სადოქტორო პროგრამა (ინგლისურენოვანი):
● განიხილეთ სწავლებადი კურსების ეტაპობრივი ზრდა, დავუშვათ „კოლოკვიუმი" რომ ოფიციალურად სავალდებულო ორნაწილიანი კურსი გახდეს ან სხვაგვარად მოხდეს მენტორობისა და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის ძირითადი ეტაპების ფორმალიზება ან სხვაგვარად უზრუნველყოთ ექსპერტული ცოდნა შერჩეულ კვლევით დარგებში.
● დაკონკრეტდეს, რომ პროგრამის სახელწოდება „მედია ხელოვნება", რეალურად უკავშირდება „შემოქმედებით ინდუსტრიებს" დასაქმების ქართულ რეალობაში, სულ მცირე ისე, როგორც ეს ასახულია პროგრამის შესავალ ნაწილებში (განსაკუთრებით საჯარო ინფორმაციაში). ეს უსდ-ს თავიდან აარიდებს გაუგებრობას - განსაკუთრებით საერთაშორისო აბიტურიენტებისთვის;
● სადოქტორო კურსი „თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ტენდენციები" უნდა დაზუსტდეს და დაკორექტირდეს როგორც შედეგების, ისე სწავლა-სწავლების სტრუქტურის თვალსაზრისით, რათა ეს კურსი მართლაც შესაფერისი იყოს სადოქტორო პროგრამისთვის და რელევანტური იყოს ყველა სტუდენტისთვის;
● აუცილებელია სადიპლომო სამუშაოს მომზადების წესი ინდივიდუალურად გაიწეროს ორივე საფეხურზე, მაგისტრატურაზე და დოქტორანტურაზე;
● მაგისტრატურაზე და განსაკუთრებით დოქტორანტურის დონეზე, უსდ-მ მხარი დაუჭიროს სტუდენტებს კვლევაში და მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებისთვის ან ნებისმიერი

პუბლიკაციებისთვის სტატიების წერაში; უსდ დარწმუნდეს, რომ ისინი იღებენ სიღრმისეულ ცოდნას და კრიტიკული აზროვნების უნარს. მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნება ამაღლებს სტუდენტების აკადემიურ პროფილებს, ხელს უწყობს მათ აკადემიურ და პროფესიულ წარმატებას;

● სასურველია არჩეული სადისერტაციო თემის თემატურობისა და აქტუალობის კონტროლი, მით უმეტეს, რომ ტექნოლოგიური განვითარების ტემპი მაღალია და დოქტორანტები უმეტეს შემთხვევაში 3 წელიწადში ვერ ასრულებენ დისერტაციას.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულა 21:58 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ჭელიძე გურანდა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი